პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 19—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ 75 % დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ტარალდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., [illegible] ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 6—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

პარასკევი, 16 ოქტომბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 238 (1393)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- კანადის ფერმერები მხარს უჭერენ გლეხთა წითელ ინტერნაციონალს.
- მუსოლინი გაემგზავრა ლოკარნოში.
- ცენტროსოიუზის თავმჯდომარე ამხ. ხინჩუკი ლონდონში ჩავიდა.
- ნიუ-იორკში შესდგა ამერიკელ მკერავთა რევოლუციური ფრთის კონფერენცია.
- ამსტერდამის ინტერნაციონალი დიდ კამპანიას აწარმოებს მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის წინააღმდეგ.

ჩვენი კოოპერაციის სნეული ადგილები

ბოლო დროს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო რამოდენიმე მასალა, რომელიც გვიჩვენებს, რომ კოოპერაციას ჯერაც ვერ დაუღწევია თავი მრავალ მახინჯ მოვლენისაგან.

ინსპექციის მიერ მოხდენილმა რევიზიამ გამოარკვია, რომ თბილისის ზოგიერთი კოოპერატიული გაერთიანება კერძო ვაჭრებზე ბითუმად ჰყიდდა საგლეხო საქონელს, რის გამო ასეთი არ მოიპოვებოდა ამ კოოპერატივებში. ჩვენი პოლიტიკა კი საერთოდ, კერძოდ საქონლის ეხლანდელი ნაკლებობის დროს, იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო საქონელს აწვდის მოსახლეობას კოოპერაციის საშუალებით. მაგრამ ზოგიერთი „კოოპერატორები" ამას არ დაგიდევენ და ძირს უთხრიან კოოპერაციის იდეას, აქარწყლებენ მთავრობის ღონისძიებებს, მიმართულს მრეწველობის პროდუქციით მშრომელი მოსახლეობის უზრუნველყოფისაკენ და ფრთებს ასხამენ კერძო ვაჭრების სპეკულიაციას. ეს არა მარტო სისხლის სამართლის ბოროტმოქმედებაა, არამედ „მძიმე პოლიტიკური დანაშაულიც", როგორც იგი დაახასიათა ჩვენმა გაზეთმა. თუმცა პროვინციებიდან ნაკლები ცნობები მოგვეპოვება ასეთი „კოოპერატიული მოღვაწეობის" შესახებ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ბევრგან იქაც ექნება ამას ადგილი.

ამას წინედ ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო აგრეთვე ინსპექციის მასალა ცეკავშირის და წარმოკავშირის თანამშრომელთა გასაცვიფრებელი დავალიანების და მათ მიერ ავანსებით უხვათ სარგებლობის შესახებ. ჩვენი კოოპერაცია ყოველ გზაჯვარედინზე მოსთქვამს საბრუნავი თანხების სიმცირეზე. ასეთი თანხების ნაკლებობა ფაქტია, და ეს მეტათ აფერხებს კოოპერაციის საქმიანობის ფართოდ გაშლას. ასეთ პირობებში კოოპერატიულ ფულის ათეულ ათასობით უხვათ დაბანდება თანამშრომლების ავანსებზე და სესხის გაცემის სახით შეუწყნარებელია და სახალხო ქონების გაფლანგვას უდრის.

კოოპერაციის ორგანოებში შეპარულ ბნელ პირების მიერ კოოპერატიულ ქონების და ფულის პირდაპირ მითვისება-გაფლანგვას ხომ ეპიდემიური ხასიათი აქვს მიღებული. ეს არა მარტო ნივთიერ ზარალს აყენებს კოოპერაციას, არამედ ნდობას უკარგავს მას მოსახლეობაში.

გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსი"-ს და წარმოკავშირის დამოკიდებულების შესახებ: თურმე წარმოკავშირს მატყლის შესყიდვა მიუნდვია კერძო პირებისათვის და ამ საქმეში სათანადო მძლავრი კოოპერატიულ ორგანიზაციისათვის ხელი უკვრია. ადვილათ წარმოიდგენთ, თუ რა უარყოფით შედეგებს გამოიღებს ეს როგორც მატყლის დამზადების, ისე კოოპერაციის განმტკიცების და მეცხვარე გლეხობის ინტერესების თვალსაზრისით.

ჩვენ აქ ხელმეორედ მოვიყვანეთ მკითხველისათვის უკვე ცნობილი ფაქტები, რათა ათას და ერთჯერ შევაჩეროთ მისი ყურადღება კოოპერაციის გაჯანსაღების საჭიროებაზე. ეს აუცილებელია,—იმდენათ დიდია კოოპერაციის მნიშვნელობა ჩვენ სინამდვილეში და ამავე დროს იმდენათ დაჩირქებულია მისი სხეული.

ჩვენში ბევრს კიდევ არა აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ კოოპერაცია მშრომელი ხალხის სამეურნეო თვითმოქმედების ორგანიზაციაა. მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი არ იღებს მისი საქმეებში აქტიურ მონაწილეობას, არ არის დაინტერესებული მისი ბედით. ასეთი მდგომარეობის შექმნას ხშირათ ხელს უწყობენ თვით კოოპერატიულ ორგანოებში რაღაცა მანქანებით მოხვედრილი ზოგიერთი შეუგნებელი, გამოუცდელი და პირდაპირ ბოროტმოქმედი ელემენტებიც. ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ კოოპერატივის წევრთა საერთო კრებებს ხშირ-ხშირათ იწვევდენ, მათ ანგარიშებს ურდგენდენ, მათთან ერთად იმუშავებდნენ მოქმედების გეგმას, საერთოდ ზომებს იღებდნენ, რომ კოოპერაცია მასის ნამდვილი თვითმოქმედების ორგანიზაციათ იქცეს. ბევრგან კოოპერატივის გამგეობა ხალხისაგან მოწყვეტილია, ის დამოუკიდებლად მუშაობს. გლეხი თუ შევა კოოპერატივში, ეს იმდენად, რამდენად იქ საქონელს შედარებით იაფად იშოვის. ამიტომაცაა, რომ ბევრ ალაგს კოოპერატივი მხოლოდ წარწერითაა ასეთი, ნამდვილად კი ჩვეულებრივ სავაჭრო დაწესებულებას წარმოადგენს, სარგებლობს კი კოოპერატივისათვის მინიჭებული შეღავათებით. ამ მხრივ საგულისხმოა განცხადება ერთ ერთ „კოოპერატორის", რომელსაც ბრალი დასდეს, რომ მის ორგანიზაციაში დიდ უკანონობას აქვს ადგილიო: გაეცანით ჩვენი კოოპერატივის ბალანსს, რათა დარწმუნდეთ მის წარმატებაშიო. შეიძლება ჩინებული ბალანსიც ჰქონდეს კოოპერატივს, იგი მოგებასაც იძლეოდეს (თუმცა ესეც იშვიათი შემთხვევაა), მაგრამ განა ამით დახასიათდება მისი ავკარგიანობა. სრულებითაც არა.

კოოპერატივი ხომ კერძო კომერციული წამოწყება არ არის. აქ თავი და თავია კოოპერატიული პრინციპების გატარება, მოსახლეობის პირადი და ნივთიერი მონაწილეობა მასში, კოლექტიურ ფსიქოლოგიის განვითარება მასსაში, მისი კეთილდღეობის აწევა, მისი ეკონომიური დაკავშირება მუშათა კლასთან. მაშინ, ცხადია, კოოპერატივი ვერ იზარალებს. ხსენებულ „კოოპერატორის" დაწესებულებათა რევიზიამ კი ნათელჰყო, რომ მათ კოოპერატივის სახელწოდება და შერჩენიათ. მით უკმაყოფილონი არიან როგორც არა წევრი, ისე წევრი გლეხებიც, რომელნიც გვერდს უვლევენ მას და თავის ალებ-მიცემობას კერძო ბაზრებზე, კერძო ვაჭრებთან აწარმოებენ.

აი—რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება. კოოპერატივი უნდა იყოს კოოპერატივი. მოსახლეობა აქტიურად უნდა შემოვკრიბოთ მის გარშემო, იგი გავხადოთ მის ჭეშმარიტ ორგანიზაციათ. კოოპერაცია უნდა არსებობდეს არა მარტო გლეხობისათვის, არამედ იგი უნდა შენდებოდეს თვით გლეხობის ხელით.

მაშინ ადვილად აღმოვფხვრით დღეს შემჩნეულ მრავალ მახინჯ მოვლენებს და ბოროტმოქმედებებს. კოოპერაციიდან უნდა განიდევნონ ბნელი ელემენტები, კომბინატორები და მის ორგანოებში უნდა ჩადგნენ ხალხის სრული ნდობით აღჭურვილი პირნი. კერძო ვაჭრები არ უნდა გავაკაროთ კოოპერატივის საქმიანობის ახლოს. უნდა გავაძლიეროთ კონტროლი კოოპერაციის ქონებაზე. სარევიზიო კომისიები უნდა გამოცოცხლდენ; საჭიროა მათი შემადგენლობის გაუმჯობესება. მფლანგველების გასამართლება უნდა ხდებოდეს რიგს გარეშე, სასწრაფოდ. გლეხობის მონაწილეობით უნდა მოეწყოს საჯარო და საჩვენებელი გასამართლება. აუცილებელია ამ ჯური ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ სასჯელის გადიდება.

ჩვენ არ ვჩქმალავთ თავის [illegible]. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს კოოპერაციას საერთოდ დიდი მიღწევები აქვს, მას ბევრი ნაკლიც ახასიათებს. ამ ნაკლულოვანებათა აღმოფხვრისაკენ უნდა იქნეს მიმართული ჩვენი მუშაობა. დღეს სწარმოებს სასტიკი ბრძოლა კოოპერაციის აღმშენებლობითი და დამანგრეველ ელემენტებს შორის. ამ ბრძოლიდან კოოპერაცია გამოვა გამარჯვებული, თუ ჩვენ მშრომელ მოსახლეობის ცხოველი მონაწილეობით გადაჭრილ ზომებს მივიღებთ.

სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაცია

ჩვენი სოფლის მეურნეობის მოსარჩლეთ დღემდე გამოდიოდა სოფლათ ორი კოოპერატიული ორგანიზაცია: ერთი—სასოფლო-სამეურნეო და მეორე—საკრედიტო.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია დღიდან დაარსებისა ისახავდა მიზნად და აწარმოებდა ჩვენი ქვეყნის მეურნეობის ყოველი დარგის კოოპერატიულად შეკავშირებას, გლეხის ნაწარმოების დამზადებას, გადამუშავებას და სათანადოთ ხელსაყრელად გასაღებას, რომ გლეხს თავისი შრომის ნაყოფში მიეღო კუთვნილი ღირებულება. ამასთანავე მთავარი მიზანი, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ემსახურება-ეს არის ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილი მეურნეობის აღდგენა.

საკრედიტო კოოპერაციის მიზანი თავისი შინაარსით ძალიან წააგავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიზნებს. როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, აგრეთვე საკრედიტო მჭიდროთაა დაკავშირებული გლეხის მეურნეობასთან და აწარმოებს მუშაობას მის აღსადგენათ. ამ მიზნით საკრედიტო კოოპერაცია აწვდის გლეხობას იაფ-ფასიან სესხს, რომლითაც გლეხს აძლევს საშუალებას გააუმჯობესოს მეურნეობა მივიწყებული და დაქვეითებული იმპერიალისტური ომის შემდეგ. გლეხი იღებდა [illegible] სესხს და რამდენათ ეს მას აძლევდა საშუალებას, მანაც გადადგა ნაბიჯი მეურნეობის აღსადგენათ და გასაუმჯობესებლათ. უნდა ითქვას გადაუმეტებლათ, რომ სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციის დიდი შრომის ნაყოფია ჩვენი მეურნეობაში გადადგმული გიგანტური ნაბიჯები. მაგალითად დიდი ხნის მივიწყებული თამბაქოს კულტურა მესამე წელია რაც აღსდგა ლაგოდეხის რაიონში, სიმინდის და ხორბლეულობის კულტურა შესცვალა თამბაქომ, რომელიც გაცილებით უკეთესად აკმაყოფილებს გლეხობას და აძლევს სტიმულს კულტურის გასაფართოებლათ.

ამავე თამბაქოს კულტურას მიექცა დიდი ყურადღება ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიც, სადაც წინეთ ის განვითარებული იყო; მაგ. გურიაში, სამეგრელოში და აჭარაში. წელს მთელ საქართველოში კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით დაკავშირებულია 8,608 მეთამბაქოეია მეურნეობა და დათესილია 2.000 დეს. თამბაქო, რომელიც მოგვცემს მოსავალს მინიმუმ 5.000 ფუთს, ღირებულს დაახლოებით 1.530.000 მან.

მეორე კულტურა, რომლის აღდგენაში დიდი მუშაობა მიუძღვის სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციას,—არის მებამბეობა, რომელიც ომამდე განვითარებული იყო ბორჩალოს მაზრაში, კახეთში, იმერეთში და სამეგრელოში. ომის შემდეგ ის სულ მოდუნდა და უკანასკნელათ, შეიძლება ითქვას, უკვე აღდგენის გზას ადგია. აღნიშნულ რაიონებში მოწყობილია სპეციალური კოოპერატივები, რომელთა საშუალებით დათესილია 4.774 დესეტინა. აქედან მოველით 185.000 ფუთ ბამბას ღირებულს 800.000 მანეთად.

აგრეთვე დიდი მუშაობაა ნაწარმოები მეცხვარეობაში, მევენახეობაში, მეხილეობაში, მერძეობაში, მესაქონლეობაში და სხვ. აი მოკლეთ ნაყოფი სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციის მოღვაწეობისა ამ მოკლე ხანში.

ისმება კითხვა: როგორი დამოკიდებულებაში იყო ეს ორი კოოპერატიული ორგანიზაცია სოფლად, როგორ მიიმართებოდა მათი მუშაობა?

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მიზანი ამ ორი გლეხური ორგანიზაციისა ერთი და იგივეა, მაგრამ დღემდე მათ შორის შესამჩნევი იყო ხშირათ არანორმალური დამოკიდებულება; მაგალითად საკრედიტო ამხანაგობა ადგილობრივ აწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ფუნქციებს, როგორიცაა სას.-სამ. იარაღების დარიგება, საწამლი მასალის მიწოდება, გლეხის ნაწარმოების დამზადება-გადამუშავება, საშუამავლო ფუნქციების ასრულება და სხვა. ამავე დროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აწარმოებდა საკრედიტო კოოპერაციის ფუნქციებს, აძლევდა გლეხებს სესხებს მაშინ, როდესაც მას თვით საშუალება არ ჰქონდა და მისი მოკლევადიანი სესხები ვერ ითმენდენ მეურნეობის აღდგენაში ჩაბმას. სოფლათ მომუშავე ორი მონათესავე კოოპერატიულ ორგანიზაციის ასეთ არანორმალურ დამოკიდებულებას მიაქცია თავის დროზე ყურადღება ჩვენმა პარტიამ და მე-14 კონფერენციაზე გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და საკრედიტო ამხანაგობები ერთიანდებიან და იქმნება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერატივი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრში შევლით. პარტიამ აქაც სწორათ გადასჭრა საკითხი.

ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ სოფლად მრავალთ ერთგვარი ორგანიზაციების არსებობა მიზანშეუწონელია. მისი აპარატის შენახვა მძიმე ტვირთად აწვებოდა ჩვენი გლეხობის ღარიბ მეურნეობას და ამასთანავე იქმნებოდა უნებლიე შეჯიბრება სხვადასხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის, რითაც სახელი უტყდებოდათ მათ გლეხის თვალში. ეს კი ხელს უშლიდა ფართო გლეხური მასის კოოპერატიულათ შეკავშირებას. ამ ახლო მომავალში წარმოკავშირი და სასოფლო-სამეურნეო ბანკი შეთანხმებით შეუდგებიან ამ გაერთიანების ცხოვრებაში გატარებას, რომლის შემდეგ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გეგმიანი და მიზანშეწონილი მუშაობა ჩვენს გლეხურ კოოპერაციაში დალაგდება და ეს უკანასკნელი შეუდგება იმ დიდი იდეების ცხოვრებაში გატარებას, რომლის მატარებელია პარტია და ხელისუფლება.

გ. ც.

ლოკარნოს კონფერენცია

გერმანიის დელეგაციის მდივანი კემპნერი ჩავიდა ბერლინში და მოხსენება გაუკეთა მთავრობას კონფერენციის შესახებ. მოსალოდნელია გერმანიის დელეგაციის ახალ დათმობაზე წასვლა

გერმანია მოითხოვს რეინის ოლქის ოკუპაციის დროის შემცირებას, განიარაღების საკითხის მოხსნას, კელნის ევაკუაციას

დელეგატები მზად არიან ყოველგვარ დათმობაზე წავიდნენ, ოღონდ ცალიერი ხელებით არ დაბრუნდნენ უკან

კემპნერის მოხსენება

ბერლინი, 14 ოქტ. რეიხსკანცლერის მდივანმა კემპნერმა, რომელიც ჩამოვიდა ლოკარნოდან, მინისტრთა თათბირზე გააკეთა მოხსენება კონფერენციის მსვლელობის შესახებ.

პრეზიდენტისა და მინისტრთა საბჭოსათვის მოხსენების გაკეთების შემდეგ კემპნერი დაბრუნდება ლოკარნოში.

ბერლინი, 14 ოქტ. ლოკარნოდან ჩამოსულმა კემპნერმა გაუკეთა მოხსენება გერმანიის მთავრობას კონფერენციაზე მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ.

როგორც ოფიციალური ცნობა აღნიშნავს, მთავრობას ჯერ კიდევ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია კემპნერის მოხსენების გამო. როგორც სჩანს, კემპნერის ჩამოსვლის მიზანია მიიღოს გერმანიის პრეზიდენტის თანხმობა, რომ გერმანიის დელეგაცია კონფერენციაზე წავიდეს შესაძლებელ ახალ დათმობებზე, რადგან ლოკარნოში კვლავ წარმოიშვა დაბრკოლებები, განსაკუთრებით იმის გამო, რომ დღემდე გადაჭრით უარყოფენ გერმანიის მოთხოვნილებებს აღმოსავლეთის ხელშეკრულებების დადების და სხვა მეორეხარისხოვან საკითხებში.

შეთანხმება მე-16-ე მუხლის შესახებ

ბერლინი. 14 ოქტ. მე-16-ე მუხლის საკითხში ლოკარნოს კონფერენციაზე მიღწეულია შეთანხმება. ამას ადასტურებს ცენტრის პარტიის ორგანო „გერმანია", რომელიც იტყობინება, რომ საკითხი მე-16-ე მუხლის შესახებ გადაჭრილი იქნება, ალბათ, შემდეგნაირათ: მოკავშირეები წერილობით აცნობებენ გერმანიას, რომ მან, თუ საჭირო დარჩა მეთექვსმეტე მუხლის სისრულეში მოყვანა, უნდა მიიღოს მხოლოდ ისეთი ზომები (აგრეთვე ეკონომიურ დარგშიც), რომლებიც არ იქნებიან მისთვის საზარალო.

გერმანიის მოთხოვნილებები

ბერლინი, 14 ოქტ. როგორც ირკვევა, გერმანიის დელეგაციას ლოკარნოში დავალებული აქვს დაჟინებით მოითხოვოს შემდეგ წინადადების დაკმაყოფილება მე-16-ე მუხლის და ომისათვის პასუხისმგებლობის საკითხების შესახებ: რეინის ოლქის ოკუპაციის ვადის შემცირება; რეჟიმის შეცვლა საარის ოლქში; განიარაღების საკითხის ლიკვიდაცია; კელნის ევაკუაცია; საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვის გაუქმება.

ახალი დაბრკოლებები

ბერლინი, 14 ოქტომბერი. მას შემდეგ, რაც გერმანიის დელეგაცია ლოკარნოში წავიდა საგრძნობ დათმობებზე უმნიშვნელოვანეს საკითხებში, როგორიც არის საგარანტიო ხელშეკრულების დადება და ერთა ლიგაში შესვლა, მან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. მისი მოთხოვნილებების წარდგენის დროს განსაკუთრებით ეგრეთ წოდებულ „მეორეხარისხოვან საკითხებში".

მუსოლინი ლოკარნოში

რომი, 14 ოქტ. მუსოლინი გაემგზავრა ლოკარნოში.

გერმანიის თანხმობა დამოკიდებულია მეორეხარისხოვან საკითხების გადაჭრაზე

ბერლინი. 14 ოქტ. საერთო აზრი ასეთია, რომ მთავრობა დათანხმდება იმ ვალდებულებაზე, რომელსაც აკისრებს გერმანიას საგარანტიო ხელშეკრულება და ერთა ლიგაში შესაძლებელი შესვლა იმ პირობით, თუ დაკმაყოფილებული იქნება გერმანიის მოთხოვნილებები მეორეხარისხოვან საკითხებში.

კემპნერის მოხსენებას საიდუმლოთ ინახავენ

ბერლინი, 14 ოქტ. ლოკარნოდან ჩამოსული კემპნერი დღეს მიიღო ჰინდენბურგმა. სადილის შემდეგ კემპნერმა გააკეთა თავისი მოხსენება მთავრობის სხდომაზე. მისი მოხსენების შინაარსი და აგრეთვე კაბინეტის სხდომაზე გამართულ კამათს საიდუმლოთ ინახავენ.

დელეგატები მზად არიან ყოველგვარ დათმობისათვის

პარიზი, 14 ოქტ. ლოკარნოდან იუწყებიან: სურვილი რომ შეთანხმებას მიაღწიონ, როგორც სჩანს, იმდენად დიდია დელეგატებში, დელეგატები მზად არიან ყოველგვარ დათმობაზე წავიდნენ, ოღონდ კონფერენციიდან არ დაბრუნდნენ ცარიელი ხელებით. კერძო მოლაპარაკების გზით ცდილობენ შეთანხმების ფორმულის გამონახვას; ამავე დროს საფრანგეთის წრეები ფიქრობენ, რომ ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება შაბათს ან კვირას.

პრესის განმარტება

პარიზი, 14 ოქტ. „მატენ" განმარტებას უკეთებს ლოკარნოს კონფერენციას და აღნიშნავს, რომ რეინის პაქტი შეიძლება დამთავრებულათ ჩაითვალოს, რადგან საკითხი გერმანიის ხალხთა ლიგაში შესვლის შესახებ და საფრანგეთის მონაწილეობა აღმოსავლეთ სახელმწიფოების გარანტიისათვის უკვე მოწესრიგებულია. ოფიციოზი „ერ ნუველი" ხაზს უსვამს „საფრანგეთისა და გერმანიის კეთილ სურვილს, რომელნიც გაერთიანდნენ". ნაციონალისტური პრესა ჯერ-ჯერობით თავს იკავებს.

კონფერენციის მნიშვნელოვანი ეტაპი

ბერლინი. 15 ოქტ. კემპნერის ჩასვლას ბერლინში სთვლიან ლოკარნოს კონფერენციის მნიშვნელოვან ეტაპად.

ლოკარნოს კონფერენციის პლენარული სხდომა გადადებულია კემპნერის დაბრუნებაზე.

რ. კ. პ. ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. 3—10 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა რ. კ. პ. ცეკას მორიგი პლენუმი ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და ცენტრალურ სარევიზიო კომისიის მონაწილეობით.

პლენუმის დღის წესრიგი

პლენუმმა განიხილა შემდეგი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამეურნეო საკითხები: სამეურნეო პოლიტიკის მორიგი საკითხები, საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მუშაობა, ხელფასი, პროფკავშირების მუშაობა, სოფლის ღარიბ გლეხებს შორის მუშაობა (მოლოტოვის მოხსენება).

პლენუმმა დაამტკიცა მომავალ მე-14 პარტიულ ყრილობის მოწვევის დრო და ადგილი, და ყრილობის დღის წესრიგი, აგრეთვე მოისმინა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის, უცხოეთის კომპარტიების მდგომარეობის და ინგლისის პროფკავშირთა უკანასკნელ კონგრესის შესახებ.

სამეურნეო პოლიტიკის მორიგი ამოცანები

კამენევის მოხსენება სამეურნეო პოლიტიკის მორიგ ამოცანების შესახებ (მოსავლის რეალიზაცია, საექსპორტო-საიმპორტო გეგმა, ბიუჯეტი, მრეწველობის გაფართოება) პლენუმმა მიიღო ცნობად და დაავალა ცეკას პოლიტბიუროს პლენუმზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიხედვით განიხილოს პრაქტიკული ღონისძიებანი და გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება კამენევის მოხსენების გამო.

საგარეო ვაჭრობა

საგარეო ვაჭრობის საკითხზე პლენუმმა მოისმინა კუიბიშევის მოხსენება საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მუშაობის გაუმჯობესების და სამეურნეო აღმშენებლობასთან საგარეო ვაჭრობის დაკავშირების შესახებ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ პლენუმმა დაამტკიცა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის თეზისები და დაავალა სპეციალურ კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიან ცეკას წევრები და ცენტრალური სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები შეიმუშაონ ცენტრალური საკონტროლო კომისიის თეზისების მიხედვით წინადადებანი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის განხორციელების ფორმების შესახებ და წარადგინოს იგი დასამტკიცებლად ცეკას პოლიტ-ბიუროში.

ხელფასის საკითხი

შმიდტის მოხსენება შეეხებოდა ხელფასის საკითხს. პლენუმმა დაავალა ცეკას პოლიტბიუროს შეიმუშავოს ყველაზე ჩამორჩენილ დარგებში ხელფასის მომატების შესაძლებლობის საკითხი და განიხილოს წარმოდგენილი განცხადებანი მრეწველობის ზოგიერთ დარგებში ხელფასის მომატების შესახებ.

პროფკავშირთა მუშაობა.

პროფკავშირთა მუშაობის შესახებ პლენუმმა მოისმინა ტომსკის მოხსენება.

ამ მოხსენების გამო პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის მიღწევებსა და წარმატებებთან ერთად ხაზს უსვამს ზოგიერთ ნაკლს პროფკავშირების მუშაობაში, კერძოდ: ზოგიერთ პროფკავშირების მუშაობის სისუსტე მუშათა მასების ეკონომიურ ინტერესების დაცვის მხრივ, ზოგიერთ საკავშირო ორგანოების არასაკმარისი ყურადღება ფართო მასების მოთხოვნილებისადმი, პროფორგანოების მოწყვეტა მასებისაგან და პროფდისციპლინის შესუსტება მათ შორის, ზოგიერთ პროფკავშირების ცდა უშუალოდ ჩაერიონ ადმინისტრატიულ-სამეურნეო მუშაობაში, ზოგიერთ პარტორგანიზაციების მხრივ პროფკავშირთა მუშაობაში წვრილმანი ჩარევა და პროფმუშაობის არასწორი ხელმძღვანელობა.

მიიღო რა მხედველობაში, რომ პროფკავშირები წარმოადგენენ უპარტიო მუშათა ფართო ორგანიზაციას, პლენუმმა აღიარა, რომ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მიერ მიღებული ღონისძიებანი მუშაობის გამოსაცოცხლებლად მიზანშეწონილია, პლენუმმა მიაქცია პარტორგანიზაციების ყურადღება იმ გარემოებას, რომ საჭიროა პროფკავშირების პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესება; ამასთანავე ეს ხელმძღვანელობა განხორციელებული უნდა იქნას პროფკავშირთა ფრაქციების საშუალებით და არ იქნას დაშვებული მათ მუშაობაში წვრილმანი ჩარევა; პლენუმმა საჭიროდ სცნო პროფკავშირებში მუშათა დემოკრატიის განხორციელება და ბრძანებლობის მეთოდების უკუგდება; პლენუმს საჭიროდ მიაჩნია, რათა ხელი შეუწყოს პროფკავშირთა ავტორიტეტის განმტკიცებას მუშათა ფართო მასებს შორის, განამტკიცოს პროფკავშირთა ხელმძღვანელი შემადგენლობა, გაძლიეროს მუშაობა მუშათა და მუშა ქალთა წრიდან ახალ პროფმუშაკების დასაწინაურებლად და ძლიერი პროფაქტივის შესაქმნელად.

პლენუმმა საჭიროდ სცნო, რათა მე-14 პარტყრილობაზე მოსმენილი იქნას მოხსენება პროფკავშირების ამოცანების შესახებ და დაავალა პოლიტბიუროს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ფრაქციასთან ერთად გამოიმუშავოს სათანადო თეზისები.

სოფლად მუშაობის საკითხი.

სოფლად მუშაობის საკითხზე, პლენუმმა დაამტკიცა სპეციალურ კომისიის შესწორებებით მოლოტოვის რეზოლიუცია სოფლის ღარიბ გლეხთა შორის პარტიის მუშაობის შესახებ. პლენუმმა დაავალა ცეკას პოლიტბიუროს: განიხილოს საკითხი აღმოსავლეთის განაპირა კუთხეებში ღარიბ გლეხთა ორგანიზაციების შესახებ და გამოიტანოს ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება. ერთი კვირის განმავლობაში განიხილოს საკითხი ღარიბ მეურნეობათათვის შეღავათიანი კრედიტების მიცემის შესახებ.

მზადება მე-14 პარტყრილობისათვის.

პლენუმმა დაადგინა მოწვეულ იქნას მე-14 პარტყრილობა 15 დეკემბერს მოსკოვში.

პლენუმის დადგენილების თანახმად პარტყრილობის დელეგატების არჩევა უნდა მოხდეს საგუბერნიო პარტიულ კონფერენციებზე, ხოლო იმ ოლქებში და რესპუბლიკებში, სადაც გატარებულია ოლქებად დაყოფა—საოლქო პარტკონფერენციებზე.

პლენუმმა დაავალა ცეკას პოლიტბიუროს პლენუმის სახელით მიმართოს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს წერილით შინაპარტიულ დემოკრატიის გატარების შესახებ, განსაკუთრებით პარტყრილობისათვის მზადებასთან და ადგილებზე პარტკონფერენციების ჩატარებასთან დაკავშირებით.

შრომის ხელფასის მომწესრიგებელ კომისიის გაუქმება

მიიღო რა მხედველობაში, რომ მრეწველობის და მთელი სახალხო მეურნეობის მდგომარეობა ამჟამათ ისეთია, რომ ხელფასის საკითხი შეიძლება გადაიჭრას სათანადო ორგანოებას (შრომის სახ. კომისარიატის და პროფკავშირების) მუდმივი მუშაობის გზით, პლენუმმა ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ შრომის ხელფასის საკითხების მომწესრიგებელ სპეციალურ კომისიის გაუქმების შესახებ.

სხვა საკითხები

ზინოვიევის მოხსენება უცხოეთის კომპარტიების მდგომარეობის შესახებ და ლიტვინოვის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე ტომსკის განცხადება ინგლისის პროფკავშირების კონგრესის შესახებ, პლენუმმა მიიღო ცნობათ.

რ. კ. პ. მე-14 ყრილობის დღის წესრიგი

მოსკოვი. 15 ოქტ. რ. კ. პ. ცეკას პლენუმმა რ. კ. პ. მე-14 ყრილობა დანიშნა 15 დეკემბრისათვის მოსკოვში.

ყრილობის დღის წესრიგი:

1) ცეკას პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიშები, 2) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და ცენტრალურ სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3) კომინტერნის აღმასკომში რ. კ. პ. წარმომადგენლობის ანგარიში. 4) სამეურნეო მშენებლობის მორიგი საკითხები, 5) პროფკავშირთა ამოცანების შესახებ, 6) კომკავშირის მუშაობის შესახებ, 7) პარტიულ წესდებაში ზოგიერთ ცვლილებების შეტანის შესახებ, 8) პარტიის ცენტრალურ ორგანოების არჩევნები.

ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა რჩება ძველი: ერთი დელეგატი პარტიის ყოველ 1000 წევრზე.

რ. კ. პ. ც. კ. პლენუმის შედეგები

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი, 15 ოქტ. „პრავდა" ასეთი სათაურით ათავსებს მოწინავე წერილს, რომელშიაც სწერს:

„ეს არის დამთავრდა ცეკას პლენუმი, რომელიც მოწვეული იყო ახალ სამეურნეო წლის დასაწყისში. ამის გამო პლენუმის მუშაობას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ცეკას პლენუმმა აღნიშნა პროფკავშირების განმტკიცება. სწორედ ეხლა, როდესაც მასების აქტივობა იზრდება, როდესაც ჩვენ მიზნად ვისახავთ საბჭოთა დემოკრატიის განვითარებას, პროფკავშირები უნდა დაუახლოვდენ თავიანთ მთავარ ლოზუნგის განხორციელებას: „უფრო ახლოს მასებთან" და გახდენ ნამდვილ მუშათა დემოკრატიის ორგანოებათ.

პლენუმმა აღიარა, რომ მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის პროდუქციის ზრდა საშუალებას იძლევა გადიდებული იქნას ხელფასი იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ფართოვდება სამეურნეო შესაძლებლობანი და იზრდება შრომის ნაყოფიერება.

ამ წლის კარგმა მოსავალმა, პროლეტარულ სახელმწიფოს რესურსების გადიდებამ აიძულა ცეკა გადაედგა შემდეგი პოლიტიკური ნაბიჯები ღარიბ მცხოვრებთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

პროფკავშირების და სოფლის ღარიბ მცხოვრებთა ორგანიზაციის საკითხი—ყველაფერი ეს საბჭოთა დემოკრატიის განვითარების ფორმებია. მაგრამ საბჭოთა დემოკრატიის განხორციელების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს შინაპარტიულ დემოკრატიის განმტკიცება. არ შეიძლება ვებრძოლოთ ბიუროკრატიზმს და ბრძანებლობის პრაქტიკას საბჭოებსა და პროფკავშირებში, თუ ბიუროკრატიზმი აღმოფხვრილი არ იქნა პარტიულ ორგანიზაციაში, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს პროფკავშირების და საბჭოების მუშაობას. სწორედ ამიტომ ცეკას პლენუმმა გადასწყვიტა მიმართოს განსაკუთრებული წერილით ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და მოუწოდოს მათ იმუშაონ პარტიის მიერ შემუშავებული შინაპარტიული დემოკრატიის საფუძვლების მიხედვით.

ამ შინაპარტიული დემოკრატიის და ლენინურ იდეურ მთლიანობის პრინციპების მიხედვით უნდა სწარმოებდეს მზადება მომავალ მე-14 პარტყრილობისათვის, რომელიც მოწვეული იქნება დეკემბერში. მას წინ უნდა უსწრობდეს ამ ყრილობის დღის წესრიგში დასმულ საკითხების ზედმიწევნითი დამუშავება პარტიული ორგანიზაციების მიერ და არჩევნების იმგვარად ჩატარება, რათა ყრილობა სავსებით გამოხატავდეს მთელი პარტიის აზრებს და სულიერ განწყობილებას".

ამხ. ხინჩუკი ლონდონში

ლონდონი, 14 ოქტ. ლონდონში ჩამოვიდა ცენტროსოიუზის თავმჯდომარე ხინჩუკი, რომელმაც რეიტერის სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ის ჩამოვიდა ცენტროსოიუზის ლონდონის განყოფილების მუშაობის გასაცნობათ. საიმპორტო-საექსპორტო ოპერაციების მომავალი განვითარების შესაძლებლობის გამორკვევას, ხინჩუკის სიტყვით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეხლა, როცა კოოპერატიული სავაჭრო ბრუნვა შეუჩერებლად ვითარდება.

„ჩვენი კომერციული კავშირი ინგლისთან, სთქვა ხინჩუკმა, მეტად მტკიცეთ მიგვაჩნია და არ ვხედავთ რაიმე დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს შეუშლიდენ ჩვენი კომერციული გეგმების განხორციელებას ინგლისში."

[illegible] კამპანია

ამსტერდამის ინტერნაციონალი—მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის წინააღმდეგ

ბერლინი, 14 ოქტ. ამსტერდამის ინტერნაციონალი გაძლიერებულ კამპანიას აწარმოებს მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის წინააღმდეგ.

ამსტერდამის ინტერნაციონალის უკანასკნელ ბიულეტენებში ნათქვამია „გამოაშკარავდა, რომ ყველა ქვეყნებში, გარდა ინგლისისა, მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტი წარმოადგენს კომუნისტურ ორგანიზაციას. ინგლისში მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტს მხარს უჭერენ არა მარტო კომუნისტები, არამედ უპარტიო მუშათა მასებიც".

რა ხდება უნგრეთში

რაკოშის მდგომარეობა მეტად სერიოზულია

ვენა, 14 ოქტ. სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, რაკოშის მდგომარეობა მეტად სერიოზულია. პროკურატურას განზრახული აქვს ბრალდებულები გაჰყოს ცალკ-ცალკე მცირერიცხოვან ჯგუფებად და ისე გადასცეს საგანგებო სასამართლოს. ამით საგანგებო სასამართლოს საშუალება მიეცა გაარჩიოს საქმე სამი დღის განმავლობაში, როგორც გათვალისწინებულია კანონში საგანგებო სასამართლოების შესახებ. გამორკვეულია, რომ რაკოშის, შეინბერგერის და უნგრეთის კომპარტიის ცეკას წევრის კატერინა გამონის საქმის შესახებ განაჩენი გამოტანილი იქნება ამ კვირის ბოლოს.

მმართველ პარტიის წრეებში მოითხოვენ დაუზოგავად იქნეს გატარებული ცხოვრებაში საგანგებო სასამართლოს განაჩენი, რომ დაანახონ „მაგალითი" მუშებს, რომელთა გადახრა მარცხნივ სულ უფრო და უფრო დიდ უკმაყოფილებას იწვევს მთავრობის წრეებში.

კრიზისი მმართველ პარტიაში

ვენა, 14 ოქტ. უკანასკნელ დროს უნგრეთის პოლიტიკურ წრეებში გავრცელდა ხმები, რომ უნგრეთის პრემიერს ბეთლენს განზრახული აქვს გადადგომა ავადმყოფობის გამო.

მთავრობის წრეებში ამ ხმებს უარყოფენ, თუმცა გამორკვეულია, რომ მმართველ პარტიის შიგნით განხეთქილება ძლიერ გამწვავდა. ამ განხეთქილების მიზეზია ერთის მხრივ წვრილ მემამულეების ჯგუფის გამოსვლა მთავრობის საგადასახადო პოლიტიკის წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ—მთავრობის კოალიციის მემარჯვენე ფრთის გაძლიერება ქრისტიანულ სამეურნეო პარტიის და ქრისტიანულ სოციალისტების გაერთიანების შემდეგ.

გლეხთა ინტერნაციონალში

კანადის ფერმერები უერთდებიან გლეხთა ინტერნაციონალს

ვენა, 14 ოქტ. კანადის ფერმერთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ტრამერმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ კავშირის ერთ-ერთმა ადგილობრივმა განყოფილებამ დაადგინა შეუერთდეს გლეხთა ინტერნაციონალს. ამასთან ერთად ტრამერმა აღნიშნა, რომ ფერმერთა კავშირი დიდათ არის დაინტერესებული საბჭოთა კავშირის სასოფლო მეურნეობისა და იქ მიწის საკითხის მოგვარებით.

ფაშიზმის გახრწნა

მუსოლინი „ზომებს იღებს“

რომი, 14 ოქტ. „სტეფანი“-ს სააგენტო იტყობინება: ფლორენციაში და რომში მომხდარ ამბების გამო, რომელთათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ფაშიზმის ზოგიერთ უკიდურეს ელემენტებს, ფაშისტური პარტიის დირექტორიამ მუსოლინის განკარგულებით მიიღო ენერგიული ზომები თავგასულ ფაშისტურ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომელთა ნაწილი დათხოვნილ იქნა, ნაწილიც მომავალში იქნება დათხოვნილი. დამნაშავეები დაპატიმრებული არიან და გადაეცემიან სასამართლოს.

ფაშისტურ გაზეთების ცნობით და ფაშისტურ წრეების ხელმძღვანელების განცხადებების თანახმად, პარტიის დირექტორიის მიერ დასახული ღონისძიებები ტარდება ცხოვრებაში ყოველგან. ფაშისტები უსიტყვოთ ემორჩილებიან პარტიის განკარგულებებს.

ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტის მოწოდება

ლონდონი, 14 ოქტ. ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ გაფიცვა გრძელდება და მეზღვაურები მხარს დაუჭერენ თავის თანამოძმეებს სამხრეთ აფრიკასა და ავსტრალიაში (ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი წარმოადგენს არაოფიციალურ ორგანიზაციას, რომელმაც თავიდანვე იკისრა ხელმძღვანელობა. გაფიცვა დამთავრებულია და ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტს არ აქვს უფლება ილაპარიკოს გაფიცულ მეზღვაურების სახელით).

ბრძოლა კომპარტიის წინააღმდეგ

ლონდონი, 14 ოქტ. ინგლისის კაბინეთის სხდომაზე 14 ოქტომბერს ირჩეოდა საკითხი კომპარტიის საავიტაციო მუშაობასთან ბრძოლის შესახებ.

პრესის ცნობით, მთავრობას განზრახული აქვს შეიტანოს თემთა პალატაში რიგი კანონპროექტებისა, რომლებიც შეზღუდავენ სიტყვის და სხვა ხასიათის მუშაობის თავისუფლებას.

მიწის ძვრა

ფილიპინის კუნძულებზე

ლენინგრადი, 15 ოქტ. სამეცნიერო აკადემიის სეისმიურმა სადგურმა აღნიშნა 13 ოქტომბერს ძლიერი მიწის ძვრა, რომელიც მოხდა 8,080 კილომეტრის მანძილზე ლენინგრადიდან, მიწის ძვრა მოხდა ფილიპინის კუნძულებზე.

მიწის ძვრის აღნიშვნა სეისმოგრაფზე გრძელდებოდა ორი საათი.

საზღვარგარეთის მუშათა მოძრაობა

ამერიკა

მკერვალთა კონფერენცია

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. შესდგა პროფკავშირთა კულტურულ-განმანათლებელ ლიგასთან არსებულ მკერვალთა სექციის მესამე კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 90 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდენ სამკერვალო მრეწველობის მუშათა მემარცხენე ფრთას.

ლიგის თავმჯდომარემ ფოსტერმა თავის მოხსენებაში აღნიშნა პროფკავშირების მემარჯვენე ხელმძღვანელობის და კლასთა თანამშრომლობის პოლიტიკის გაკოტრება. მან მოითხოვა ლიგის გადაქცევა მასიურ ორგანიზაციათ, რომელიც აგებული იქნება ინგლისის მემარცხენე უმცირესობის მოძრაობის პრინციპზე.

კონფერენციამ დაადგინა მოითხოვოს სამკერვალო მრეწველობის ყველა პროფკავშირების გაერთიანება ერთ საწარმოო კავშირში, მიიღო საპროტესტო რეზოლუცია ამერიკის პროფკავშირთა იმ რეაქციონურ მეთაურების მუშაობის წინააღმდეგ, რომლებიც გამოდიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; კონფერენციამ მიიღო აგრეთვე რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს მუშათა პარტიის მოწყობას ამერიკაში და პროფკავშირთა საერთაშორისო მთლიანობის აღდგენას.

ავსტრია

მელითონეთა გაფიცვა

ვენა, 14 ოქტომბერი. საზოგადოება „ალპინე მონტან გეზელშაფტ“-ის ადმინისტრაციამ არ მიიღო ავსტრიის პროფკავშირთა კომისიის წინადადება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ. საზოგადოებამ კომისიას აღუთქვა სამუშაო ხელფასის მომატება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „გამოკეთდა წარმოების საქმე“. მთავრობა კვლავ ცდილობს შეთანხმების მიღწევას.

ავსტრიის მელითონეთა კავშირის თანამდებობის პირთა კონფერენციამ ვენაში თანაგრძნობა გამოუცხადა გაფიცულებს და მიმართა მუშებს მოწოდებით გაუწიონ გაფიცულებს მორალური და ფინანსიური დახმარება.

რა ხდება უცხოეთში.

რა მიზნებს ისახავს ინგლისი ლოკარნოში

ინგლისი საგარანტიო ხელშეკრულების დადებით ორ მიზანს ისახავს: ბურჟუაზიული სახელმწიფოების მთლიანი ფრონტის შექმნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და საფრანგეთის გავლენის შესუსტებას.

პირველი მიზნის განხორციელება არც ისე ადვილია. შინაური მდგომარეობა და ეკონომიური ინტერესები დაბეჯითებით უკარნახებენ ყველა სახელმწიფოებს, მათ შორის თვით ინგლისსაც მჭიდრო ეკონომიური კავშირი დაიჭირონ საბჭოთა კავშირთან. ამას ნათლად ამტკიცებს სავაჭრო ურთიერთობის ზრდა უკანასკნელი წლის განმავლობაში ევროპის თითქმის ყველა ეკონომიურად ძლიერ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

რაც შეეხება მეორე მიზანს, ინგლისისათვის მისი განხორციელება, შედარებით ადვილია. ამ გეგმას ინგლისი თანდათანობით და დაჟინებით ახორციელებს.

ინგლისი მოითხოვს, რომ გარანტიის (თავდების) უფლება მას მიეცეს, ე. ი. ის კისრულობს, როგორც საფრანგეთის, ისე გერმანიის საზღვრების უზრუნველყოფას.

უკვე დიდი ხანია ინგლისი აწარმოებს ბრძოლას საფრანგეთის წინააღმდეგ იმ საკითხში, რომელიც შეეხება ამ უკანასკნელის „უფლება“-ს გერმანიის წინააღმდეგ დამოუკიდებლათ ზომების მიღებისას, რადგან ეს „უფლება“ მას საშუალებას აძლევდა მუდმივ კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა გერმანია და გაეძლიერებინა თავისი გავლენა ევროპაში.

ინგლისი კი უკვე ორი საუკუნის განმავლობაში აწარმოებს ბრძოლას საფრანგეთის გავლენის გაძლიერების წინააღმდეგ ევროპაში: თავის დროზე, ის ებრძოდა ნაპოლეონს, წინააღმდეგი იყო რურის დაკავებისა საფრანგეთის მიერ, ეხლა ის ცდილობს ფეხზე წამოაყენოს გერმანია, როგორც მუდმივი საფრთხე საფრანგეთისათვის.

დაუესის გეგმით საფრანგეთს წაერთვა უფლება დამოუკიდებელი ღონისძიებების მიღებისა სარეპარაციო საკითხში, ეხლა კი ინგლისს სურს საფრანგეთს წაართვას გერმანიის წინააღმდეგ დამოუკიდებლათ გამოსვლის საშუალება და ინგლისი კისრულობს შუამავლობას მათ შორის.

ინგლისი გრძნობს ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვის საჭიროებას, ამას მისი ინტერესები და მდგომარეობა მოითხოვს (მაგ. ინგლისის ახალშენები, რომელთა გავლენა თანდათანობით იზრდება კატეგორიულად უარს ამბობენ „ევროპის საქმეებში“ მონაწილეობის მიღებაზე, თუ ეს საქმეები უშუალოდ მათ ინტერესებს არ ეხება ვერსალის ხელშეკრულებით კი ინგლისს ავალებს უახლოესი მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეებში). ის ხედავს, რომ ვერსალის ხელშეკრულებამ ვერ შექმნა მტკიცე მდგომარეობა ევროპაში, რადგან იგი დადებულ იქნა იმ დროს, როცა საფრანგეთი ძლიერი იყო, გერმანია კი — სუსტი. ინგლისი მაშინ იძულებული იყო ბევრ რამეში დაეთმო საფრანგეთისათვის. ვერსალის ხელშეკრულებით საფრანგეთმა განიმტკიცა თავისი ბატონობა ევროპაში. ეხლა ინგლისს სურს მდგომარეობა გაასწოროს.

ინგლისი მეტად ფრთხილად და წინდახედულად შეუდგა ამას. მას არ სურს გერმანიის ზედმეტად გაძლიერება (ამისათვის ის კისრულობს საფრანგეთის საზღვრების უზრუნველყოფას), მეორე მხრივ მას არ სურს, რომ გერმანია იყოს ძლიერ სუსტი (ამიტომ ის წინააღმდეგია, რომ საგარანტიო ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი იქნეს პოლონეთისა და ჩეხო-სლოვაკიის საზღვრები).

ინგლისი ცდილობს იყოლიოს ევროპაში ძლიერი ვასალი, ხელქვეითი სახელმწიფო, რომელზე დაყრდნობით ის შესძლებს საფრანგეთის ბატონობის შესუსტებას ევროპაში. ამიტომ არის, რომ ინგლისი, სხვათა შორის, არ ეწინააღმდეგება ავსტრიის შეერთებას გერმანიასთან.

ასეთია ლოკარნოს კონფერენციაზე ინგლისის პოლიტიკის მთავარი მომენტები.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ხანძარი ქარხანა „წითელ ოქტომბერ“-ში.

იაროსლავლი, 15 ოქტ. დაიწვა ლურსმანის დამამზადებელი ქარხანა „წითელი ოქტომბერი“, ზარალი ჯერ არ არის გამორკვეული

გაფლანგველისათვის—დახვრეტა.

იაროსლავლი, 15 ოქტ. მოსკოვის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს აგენტს იაროსლავლში სამსონოვს მიუსაჯეს დახვრეტა 14.000 მანეთის გაფლანგვისათვის.

ჩრდილოეთ-კავკასია

წყალსადენი ინგუშეთის სოფლებში.

კავკაზი, 15 ოქტ. ინგუშეთის 14 სოფელში გაყვანილია წყალსადენი, რომლის საერთო სიგრძე უდრის 14 ვერსს.

რუსეთის ცაკის სესია

მეორე სხდომა.

მოსკოვი, 15 ოქტ. 14 ოქტომბერს გაიმართა რუსეთის ცაკის I-სესიის მეორე სხდომა. ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. ლევინმა გააკეთა მოხსენება საბჭოთა რუსეთის 1925—26 წლის ბიუჯეტის შესახებ. თავის მოხსენებაში ლევინი აღნიშნავს ბიუჯეტის ზრდას და ასახელებს იმ მიზეზებს, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ ბიუჯეტის განმტკიცებას.

1925—26 წ., მომხსენებლის სიტყვით, დიდ იმედებს იძლევა ფინანსიურ თვალსაზრისით. ეს აიხსნება სასოფლო მეურნეობის ზრდით.

ლევინი აღნიშნავს, რომ 1925—26 წლის ბიუჯეტი ხელს შეუწყობს ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ბიუჯეტის შემდგომი გადიდება. შეადგენს საბჭოთა რუსეთის საფინანსო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას.

საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტის განხილვა

მოსკოვი, 15 ოქტ. ფინსახკომთან არსებულ სპეციალურ კომისიაში საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების წარმომადგენელთა მონაწილეობით დაიწყო საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტების განხილვა.

ფინსახკომის აზრით, რესპუბლიკების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტები იძლევიან სერიოზულად დამუშავებულ მასალებს როგორც ბიუჯეტის აგების, ისე მისი ცალკე ანგარიშების დასაბუთების მხრივ. თუმცა რესპუბლიკებმა რამოდენიმეჯერ დააგვიანეს თავისი ბიუჯეტების წარმოდგენა, მაგრამ მიუხედავათ ამისა რესპუბლიკების ბიუჯეტების განხილვა კომისიაში, ახალი სამეურნეო წლის დაწყების დროის, დიდი მიღწევაა შარშანდელთან შედარებით.

სპეციალური სამხედრო გადასახადი

ზურგის სათადარიგო ნაწილებში ჩარიცხულ პირებზე

მოსკოვი, 15 ოქტ. საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატმა წარუდგინა სახ.-კომისართა საბჭოს განსახილველად კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ყველა იმ მოქალაქეთა სპეციალურ სამხედრო გადასახადით დაბეგვრას, რომლებიც ჩარიცხულნი არიან ზურგის სათადარიგო ნაწილებში (тыловое ополчение). ამ გადასახადს იხდიან ისინი სათადარიგო ნაწილებში ყოფნისას მშვიდობიანობის დროს. კანონპროექტი ითვალისწინებს აგრეთვე იმასაც, რომ ის მოქალაქეები, რომელნიც იხდიან საშემოსავლო გადასახადს და ჩარიცხულნი არიან სათადარიგო ნაწილებში, სპეციალურ სამხედრო გადასახადს იხდიან საშემოსავლო გადასახადთან ერთად ნახევარ-წლობით. ხოლო იმ პირთ, რომელნიც იხდიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს და ამავე დროს ჩარიცხულნი არიან სათადარიგო ნაწილებში, სპეციალური სამხედრო გადასახადი შეაქვთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან ერთად.

რაც შეეხება იმ მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო, მაგრამ არ იხდიან არც საშემოსავლო და არც სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, სპეციალური სამხედრო გადასახადი შეაქვთ სათადარიგო ნაწილებში ყოფნის პირველ 2 წლის განმავლობაში. ამ გადასახადის რაოდენობა უნდა უდრიდეს ამა თუ იმ ადგილის საშემოსავლო გადასახადის ნახევარი წლის მინიმალურ განაკვეთს „ბ“—კატეგორიის მიხედვით, ხოლო შემდეგი წლების განმავლობაში ყოველ ნახევარ წელიწადში—ამ განაკვეთის ნახევარს.

იმ მოქალაქეების მაგიერ, რომელთაც არა აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი, სამხედრო გადასახადს იხდიან მათი მშობლები ან ის პირნი, რომელთა კმაყოფაზე ეს მოქალაქეები იმყოფებიან.

ბოლოს კანონპროექტში აღნიშნულია, რომ სპეციალური სამხედრო გადასახადისაგან მიღებული თანხა გადადის იმ ფონდში, რომელიც ხმარდება სამოქალაქო ომის ინვალიდთა სოციალურ უზრუნველყოფის საქმეს.

საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ, განიხილა რა კანონ-პროექტი, მოიწონა და გადასცა იგი საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს დასამტკიცებლათ.

ამასთან ერთად სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა ფინსახკომს და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარიატს შეიტანონ პროექტში დამატებითი დადგენილება, რომლის თანახმად გადასახადი ვრცელდება იმ პირებზედაც, რომელნიც იყვნენ უმწყობრო ნაწილებში (в командах обслуживания) დაწყებული 1923 წლის გაწვევიდან.

გაფრენა ახალ მიწაზე

პეტროზავოდსკი, 15 ოქტ. არხანგელსკიდან მოფრინდა ჰაეროპლანი მფრინავ კალვიცის მეთაურობით. ჰაეროპლანმა მოახდინა გადაფრენა ახალ მიწაზე. ცუდი ამინდის გამო კალვიცი იძულებული გახდა ჩამოფრენილიყო კონდოსტროის რაიონში, პეტროზავოდსკის ჩრდილოეთით. მანძილი არხანგელსკიდან პეტროზავოდსკამდე ჰაეროპლანმა გაიარა 4 საათში. მფრინავი ჩუხნოვსკი, მოტორის გაფუჭების გამო, დარჩა არხანგელსკში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

სამხრეთ-ოსეთი

1905 წლის დღესასწაული

ცხინვალი, 15 ოქტომბერი. სამხრეთ-ოსეთის ცაკმა დაარსა სპეციალური კომისია 1905 წლის რევოლუციის 20 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად. კომისია შეუდგა მუშაობას.

აზერბეიჯანი

ქარიშხალი კასპიის ზღვაზე

ბაქო, 15 ოქტომბერი. კასპიის ზღვაზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი. ქარის ძალა აღწევდა 10 ბალამდე. დაზიანდენ გემები „რაბოჩი“ და „ივანოვი“.

გუთნები გლეხებს

ბაქო, 15 ოქტომბერი. აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო კავშირმა („ქეიბირლიგი“) დაგზავნა მაზრებში სხვადასხვა სისტემის 1500 გუთანი, დამზადებული „ხევკავმეტალოტრესტ“-ის ქარხნებში.

ნავთის გაგზავნა სტამბოლში

ბაქო, 15 ოქტომბერი. ნავთის სინდიკატი გზავნის სტამბოლში 34,000 ბიდონ ნავთს. დაკვეთილია კიდევ 165,000 ბიდონი

პარტიული ცხოვრება

19 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, პლეხანოვის სახელობის თეატრში იხსნება

ს. კ. პ. თ. ო. ლენინის რაიონის მე-6 პარტკონფერენცია:

დღის წესრიგი

1. პარტიის მორიგი ამოცანები—მომხსენებელი ამხ. კახიანი.
2. მოხსენება ლენრაიკომის მუშაობის შესახებ—მომხსენებელი ამხ. ქავთარაძე.
3. თანამოხსენება ახკომკავშირის მუშაობის შესახებ—მომხსენებელი ამხ. ხალვაშიძე.
4. სარევიზიო კომისიის მოხსენება—მომხსენებელი ამხ. კალანდია.
5. რაიკომის არჩევნები.
6. საქალაქო კონფერენციაზე დელეგატების არჩევა.
7. მიმდინარე საკითხები.

ლენრაიკომის მდივანი: ქავთარაძე.

უნდა გავაძლიეროთ თვითკონტროლი

სოფლად იზრდება გლეხკაცობის პოლიტიკური აქტივობა.

გლეხი დღეს გულგრილად არ უცქერის იმას, თუ რას აკეთებს თემის აღმასკომი, სოფლის კოოპერატივი და სხ. თუ სადმე მუშაობა რიგიანად ვერ მიმდინარეობს, იგი გაბედულათ მსჯელობს მასზე, არავის ერიდება და, თუ საჭიროა, დამნაშავეს ბრალდებასაც აშკარად უყენებს.

სოფლად მუშაობაში ჩვენ ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი გვაქვს. მაგრამ გლეხი არც იმდენად უვიცია, რომ ამის გამო საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ გალაშქრება მოინდომოს. იგი სოფლის რომელიმე კომუნისტის შეცდომისათვის საბჭოთა მთავრობას კი არ კიცხავს, არამედ ცდილობს როგორმე ასეთი უვარგისი პირისაგან სოფელი გაანთავისუფლოს. სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები გლეხობის ასეთ საქციელში „კონტრ-რევოლუციას“ ხედავენ. ასეთი შეხედულება დიდი შეცდომაა ამას უნდა ვებრძოლოთ.

საუკეთესო საშუალება, რომლითაც შეიარაღებულია სოფლის მოსახლეობა უვარგის პარტიულ მუშაკის წინააღმდეგ საბრძოლველად, არის საბჭოების არჩევნები, რომლის დროს ზოგ კომუნისტს უეჭველი გაშავება მოელის. მაგრამ ამით სოფლის მოსახლეობა ერთი წუთითაც კი არ ფიქრობს საერთოდ კომუნისტები გაშავოს, პირიქით, რომ ჰკითხოთ გლეხს, ის გიპასუხებს, რომ ებრძვის უვარგის კომუნისტს და ცდილობს მის მაგიერად გამოსადეგი პარტიული მუშაკი აირჩიოს. მომავალ საბჭოთა არჩევნებში შესაძლებელია ასეთ შემთხვევებს ექნეს ადგილი, მაგრამ ეს გარემოება ოდნავათაც ვერ დააღონებს პარტიას, რადგან გლეხობის ფხიზელი თვალი ამ შემთხვევაში ეხმარება პარტიას თავისი ზოგი უვარგისი წევრები სოფელს მოაცილოს.

მაგრამ გლეხობას სძულს და ეჭვით ეპყრობა არა მარტო ისეთი კომუნისტი რომელიც [illegible] ან კოოპერატივის ფულს მიითვისებს, არამედ ისეთიც, ვინც თავისი „ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური“ მოპყრობით სოფლის მოსახლეობას მეფის რეჟიმს აგონებს. როდესაც პასუხისმგებელი მუშაკი რომელიმე გლეხს თავის დროზე იღებს თხოვნისათვის, ანდა შინაურულად უხსნის, მიუთითებს საშუალებებზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი,—გლეხს ეს დიდათ ასიამოვნებს და, თუ გინდ მან ვერ გააკეთოს რაც სურდა, ის მაინც არ დარჩება იმდენად უკმაყოფილო, როგორც მაშინ, როცა მას მთელი დღე აცდევინებენ კარებში და მიღების დროსაც უკმეხად მოექცევა.

გლეხობისადმი ცუდი მოპყრობით სოფლის კომუნისტი ნიადაგს ამზადებს არა მარტო იმისათვის, რომ მომავალი არჩევნების დროს ის უეჭველად გაშავონ, არამედ ხელს უშლის პარტიისა და სოფლის გლეხკაცობის დაახლოვებას.

დღეს, როცა სოფლის გაძლიერებას ვაქცევთ დიდ ყურადღებას, შეუძლებელია ამ მხრივ რაიმე საგრძნობ გაუმჯობესობას მივაღწიოთ, თუ სოფლის მოსახლეობა ვერ დავიახლოვეთ, თუ ვერ ჩავაბით იგი მთელი რიგი აღმშენებლობით საქმიანობაში და ვერ დავამყარეთ მასთან ამხანაგური დამოკიდებულება.

ამიტომ ჩვენი სოფლის მუშაკებს ყოველ წუთს მართებთ ფხიზელი კონტროლის წარმოება თავის მოქმედებაზე, რომ მათ საქციელმა გლეხობასთან დაახლოვების მაგივრად დაშორება არ გამოიწვიოს.

მ. მარლეშვილი.

წერილები ადგილებიდან

ტყიბული

(ქუთაისის მაზრა)

როგორ მიმდინარეობს ორგანიზაციული მუშაობა

ტყიბულის რაიონში სამი პარტიული უჯრედია. ამათში ერთი უჯრედი მუშურია, რომელიც არსებობს თვით ტყიბულის მაღაროებში და აერთიანებს 24 წევრს და 4 კანდიდატს; მეორე გლეხური უჯრედია 3 წევრით და 1 კანდიდატით; მესამე სატრანსპორტო უჯრედია, რომელშიაც ირიცხება 7 წევრი და 4 კანდიდატი.

ზემოხსენებული უჯრედები სხდომებს მართავენ ოთხკვირაში ერთხელ. უმთავრესად ეწყობა ღია კრებები, რომლებსაც ესწრებიან უპარტიონიც. ეს ღია სხდომები ძლიერ ხელს უწყობენ პარტიული და უპარტიო მასების დაახლოვებას.

რაიონში დაარსებულია 8 პოლიტწრე, რომლებშიაც ირიცხება 115 კაცი. ამ წრეებში მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურად და წინასწარ გამომუშავებულ პროგრამის მიხედვით.

გ. ხ—ძე.

ალპანის თემი

(ლეჩხუმის მაზრა)

კომუჯრედის მუშაობა მოისუსტებს

ალპანის თემში მხოლოდ ერთი უჯრედია, რომლის მუშაობა მოისუსტებს. უჯრედი არ იწყობს ღია კრებებს, ის არ აწარმოებს კულტურულ მუშაობასაც, პარტიული ამხანაგებიც გულგრილად ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობების შესრულებას. სუსტია რაიკომის ხელმძღვანელობაც უჯრედზე, მომავალში ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ა | წ. აპრილში ლეჩხუმის მაზრას ეწვია პარტგამწმენდი კომისია ამხან. მასხულიას თავმჯდომარეობით. კომისიამ დაათვალიერა ჩვენი უჯრედიც. დათვალიერების დროს გლეხებმა კომისიაში შეიტანეს საჩივარი ერთ კომუნისტის ცუდ ყოფაქცევის შესახებ. ეს კომუნისტი გახლდათ ყველასათვის ცნობილი ბოროტ-მოქმედი, ორი კაცის მკვლელი და ალპანის გლეხკაცობის ამწიოკებელი კოწია ხვადაგიანი, რომელიც ამჟამად პასუხისგებაშია მიცემული.

ვარამი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

თბილისი

ლ. ქ. კ. მკერვალთა უჯრედი

ხსენებული უჯრედი აერთიანებს 60 წევრს. ამათში 32 მომაგრებული ამხანაგია. უჯრედის მორიგი კრებები იმართება ორ კვირაში ერთხელ. უჯრედში არსებობს „რემედას“-ის და „წერკომსის“ წრეები, რომლებშიაც ჩაბმულნი არიან უპარტიო ახალგაზრდა ამხანაგებიც. უპარტიოთა ლტოლვა კომკავშირისაკენ დიდია. უჯრედს გამოყოფილი ყავს ბიუროდან თავისი წარმომადგენლები როგორც კავშირის ცენტრალურ გამგეობაში, ისე ადგილკომში. დღემდე უჯრედში საგრძნობლად მოისუსტებდა ქალთა შორის მუშაობა. მას შემდეგ, რაც ბიურომ აირჩია ქალ-ორგანიზატორი, უჯრედის სხდომებს ბლომად ესწრებიან ახალგაზრდა ქალები. ახლა ამ ქალებს შემოაქვთ განცხადებები კომკავშირში მიღების შესახებ. საანგარიშო ხნის განმავლობაში კომკავშირში მიღებული იქნა 15 ახალი წევრი. აქედან სამი ქალია. ახლად მიღებული წევრები ძლიერ მოწადინებულნი არიან მიიღონ პოლიტცოდნა. ყველა ეს ამხანაგები ჩაბმული იქნებიან პოლიტსკოლებში, რომლებიც დაიწყებენ მუშაობას ნოემბრის პირველ რიცხვებიდან.

ა. ჯიქია.

ეკონომიური ცხოვრება

საქონელი ამიერ-კავკასიისათვის

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ბუკრეევმა განაცხადა შემდეგი:

— ამიერ-კავკასიის ბაზრისათვის საქონლის, კერძოთ მანუფაქტურის, მაწოდების საქმე ჯერ კიდევ ვერ არის კარგ მდგომარეობაში; მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე, როგორც ქალაქში, ისე სოფლად ჯერ კიდევ ძალიან დიდია. სასოფლო მეურნეობის პროდუქციის გასაღება აძლიერებს მოთხოვნილებას სამრეწველო საქონელზე. ამ საქონლის, კერძოთ მანუფაქტურის, მიწოდება კი არა თუ არ გადიდდა, არამედ რამოდენიმედ კიდეც შემცირდა შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გეგმასთან შედარებით.

ამ სეზონისათვის განზრახული იყო 7,790 შეკვრა ბამბეული ნაწარმოების შემოტანა, აგრეთვე მიღებული უნდა ყოფილიყო 13 ვაგონი მანუფაქტურა, რომელიც აგვისტოში ვერ მივიღეთ; ფაქტიურად კი მიღებულია 4,494 შეკვრა. ოქტომბერში ველით 78—80 ვაგონ მანუფაქტურას, მაგრამ იქნება ის მიღებული მთლიანად თავის დროზე თუ არა, ამის თქმა ძნელია. თვეში, ვიღებთ საშუალოდ განზრახულთან შედარებით 15—17 ვაგონით ნაკლებს მთელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ თვიურად საჭიროა ასი ვაგონი.

ყოველ შემთხვევაში 1 ოქტომბრიდან გზაშია 57 ვაგონი მანუფაქტურა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამჟამად მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია 50 პროცენტით.

მოთხოვნილების გადიდების მიზეზი არის გლეხობის სყიდვითი უნარის გაძლიერება მაშინ, როცა ჩვენს მრეწველობას ობიექტიურ მიზეზების გამო არ შეუძლია დააკმაყოფილოს სავსებით ეს მოთხოვნილება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ ღონისძიებების წყალობით 2 თვის განმავლობაში სამრეწველო საქონლის კრიზისი სავსებით აღმოფხვრილი იქნება, თუმცა შეიძლება დარჩეს ერთგვარი დაბრკოლებები ლითონის და ტყავის ბაზარზე.

რაც შეეხება სოფლისათვის საქონლის მიწოდებას, ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ახლო მომავალში შეიმუშავებს საამისო გეგმას. ამიერ-კავკასიის სოფელს აკლია უმთავრესად მანუფაქტურა და ლითონის ნაწარმოების სიმცირე.

კოოპერაცია

წარმოკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა

ამ ჟამად მიმდინარეობს წარმოკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა. რა გაკეთდა საანგარიშო ხანაში და რა საკითხებია გადასაწყვეტი ყრილობაზე?

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობის საკითხები სერიოზულათ გადაიშალენ ჩვენს წინაშე. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილი მეურნეობის აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირების გზით. საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ დახმარებას უწევს სას. სამ. კოოპერაციას. გლეხობამ შეიგნო კოოპერაციაში გაერთიანების საჭიროება. და დაიწყო გაცხოველებული მუშაობა სოფლად.

ცხადია ამ ქვევიდან მიმდინარე სტიქიურ მოძრაობას ესაჭიროებოდა განსაზღვრულ ჩარჩოებში ჩაყენება და წარმოკავშირიც შეუდგა ამ საქმეს. მან იმ თავითვე (1923 წ.) შექმნა კოოპერატორ ინსტრუქტორების კადრი.

წარმოკავშირის ინსტრუქტორთა დღევანდელი შემადგენლობა მოწმეა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების. ეს მძიმე მუშაობა მათ მიერაა ჩატარებული. შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში წარმოკავშირის საინსტრუქტორო აპარატმა შესძლო შეეკავშირებინა 200-მდე კოოპერატიული ორგანიზაცია, ჩამოეყალიბებია ისინი, მიეცა მათთვის გლეხური ორგანიზაციის სახე, და ყოველდღიურათ თვალყურს ადევნებდა მათ როგორც საორგანიზაციო, ისე სამეურნეო საქმიანობას.

მუშაობა, შეიძლება ითქვას, ერთად დაიწყო მთელ საქართველოში. შეკავშირებას ითხოვდენ მევენახეები კახეთში და იმერეთში; მეთამბაქოები ლაგოდეხში, ქიზიყში, გურიაში და სამეგრელოში; მებამბეები ბორჩალოში, კახეთში, იმერეთში და სამეგრელოში; მეცხვარეები კახეთში, ბორჩალოში და დუშეთის მაზრაში; მეხილეები გორის მაზრაში, მერძევეები მესაქონლეები ბაშკიჩეთ-წალკის რაიონში; მეფუტკრეობა კახეთში და იმერეთში და სხვა მრავალი. აი როგორ მრავალფეროვან დარგში უხდებოდათ მოღვაწეობა წარმოკავშირის ინსტრუქტორებს 1923 წლიდან დღემდე.

უკანასკნელი ყრილობა წარმოკავშირის ინსტრუქტორებისა მოხდა აპრილში წარმოკავშირის ყრილობის წინ. ამის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა თვით კოოპერატივთა რიცხვი, გადაისინჯა ქსელი კოოპერატივებისა, გაცხოველდა მუშაობა გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში, დალაგდა ანგარიშწარმოება, შერჩეული იქნა ხელმძღვანელი აპარატი, ჩატარდა რევიზია, გატარებულ იქნა ბალანსების სისტემატიური მოწოდების საქმე წარმოკავშირში, გამომუშავდა ხარჯთ-აღრიცხვა და სამეურნეო გეგმა ყველა კოოპერატივებში და სხვა.

ეხლანდელი ყრილობის წინაშე, სხვათა შორის სდგას შემდეგი მნიშვნელოვანი კითხვები: 1. სას. სამ. და საკრედიტო კოოპერაციის გაერთიანება, 2. სპეციალური დარგების გამოყოფა და მათი ცალკე ცენტრების დაარსება, 3. საქართველოს კოოპერატიული საბჭოს შექმნა, 4. ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა საბჭოს შექმნა, 5. ამიერ-კავკასიის სას. სამ. კოოპერაციის ბიუროს შექმნა, 6. სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობის საორგანიზაციო საკითხები და სხვა.

საქართველოს სას.-სამ. კოოპერაციის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო აპარატმა უნდა განიხილონ ყველა ეს კითხვები და გადასჭრან ისინი ჩვენს სინამდვილესთან შეფარდებით და ნამდვილი კოოპერატიული პრინციპის მიხედვით.

საკითხები წინასწარ საკმაოთ დამუშავებულია, ყრილობა დროულათაა მოწვეული და დარწმუნებული ვართ, რომ წარმოკავშირის უკვე გამოცდილი, მომზადებული საინსტრუქტორო აპარატი ყრილობის დასრულების შემდეგ ისეთივე ენერგიით მოედება საქართველოს ყველა კუთხეებს ახალი დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლათ, როგორც მან დღემდე შესძლო სახ. სამ. კოოპერაციის შექმნა.

ვლ. ცაგერელი.

კოოპერატიული განათლება

კოოპერატიულ ტეხნიკუმის გახსნა

ა.-კავკ. კოოპერატივთა კავშირის გამგეობამ დაამუშავა პროგრამა კოოპერატიული ტეხნიკუმისა, რომელიც იხსნება მიმდინარე წლის ნოემბერში თბილისში. წელს ტეხნიკუმში მიღებული იქნება სულ 72 მოწაფე. ა.-კ. თვითეული რესპუბლიკა ტეხნიკუმში გზავნის 24 კაცს. სასწავლო გადასახადისაგან მოწაფეები განთავისუფლებული იქნებიან. ტეხნიკუმში გასაგზავნ მოწაფეთა სია უნდა შეადგინონ და ა.-კ. კოოპერატივთა კავშირში უნდა წარუდგინონ რესპუბლიკის კოოპერატიულმა საბჭოებმა. ტეხნიკუმში შემავალ მოწაფეებს მოეთხოვებათ საერთო განათლება, პირველი საფეხურის სკოლის ცოდნა, 3 წლიანი საზოგადოებრივი და კოოპერატიული მუშაობის სტაჟი. მოწაფის ხნოვანება არ უნდა იქნეს 16 წელზე ნაკლები. ტეხნიკუმის სწავლის კურსი ორწლიანია, ტეხნიკუმის კურსები დაყოფილი იქნება შემდეგ სექციებად: საერთო განათლების სექციად, საერთო კოოპერატიული ცოდნის და სპეციალურ სექციებად მომხმარებელთა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დარგებში.

ტეხნიკუმში მეცადინეობა დაიწყება მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოში.

საღამოს კოოპერატიული კურსები.

შარშან ა.-კ. კოოპერატიულ კავშირთან გაიხსნა საღამოს კოოპერატიული კურსები, რომელიც გაიარა დაახლოვებით 120-მდე მსმენელმა. კოოპერატიული კურსები მიმდინარე წელსაც განაგრძობს მუშაობას კოოპერატიულ მოსამსახურეთა გადასამზადებლად. მიმდინარე წლისათვის კურსების პროგრამა უფრო გაფართოებულია. ერთი წმინდა კოოპერატიული განყოფილების ნაცვლად გაიხსნება ორი განყოფილება, სადაც მეცადინეობა შარშანდელი პროგრამით იწარმოებს; იხსნება კიდევ საქონლის საარიცხვო განყოფილება, კოოპერატივებში მსახურ ნოქრებისათვის.

საქონლის საანგარიშო განყოფილებაში გავლილი იქნება მოძღვრება საქონლის შესახებ, საქონლის წარმოების თეორია და ტეხნიკა და ანგარიშის წარმოების საფუძვლები.

კურსებზე მიღებული იქნება 400 მსმენელი. იქნება 4 ჯგუფი; 2 საზოგადო განათლების ჯგუფი რუსულ ენაზე, 1 ქართულ ენაზე და მეოთხე ჯგუფი სპეციალურ განათლებისა რუსულ ენაზე. კურსების მოსმენისათვის მსმენელები იხდიან ფულს თვიურად 20 მანეთს. კურსები გაგრძელდება 6 თვეს.

მეცადინეობა დაიწყება ა. | წ. ოქტომბრის 20—25 რიცხვებში. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება „ზაკოოპუნ“-ს ბინაზე, რუსთაველის პროსპ. 34.

ბამბის დამზადება

საქართველოს ბამბის კომიტეტში ჩვენ თანამშრომელს აცნობეს, რომ ნედლი ბამბის [illegible] გლეხების მიერ [illegible] მიმდინარეობს. [illegible] წყალობით, ბამბის მოსავალი თვალსაჩინოთ გაიზარდა. საქართველოს ბამბის კომიტეტმა ბამბის მოსავლის გასაღების მიზნით წინასწარ მოაწყო ადგილებზე სპეციალური აპარატი.

საქართველოში უკვე შეკრებილია 15.000 ფუთი ბამბა. უნდა დამზადდეს სულ 250.000 ფუთი ბამბა.

მომავალ წელს საქართველოში დათესილი იქნება ბამბით 12.500 დესეტინა მიწა. მიმდინარე წელს კი დათესილი იყო 5.500 დესეტინა. ამგვარად ბამბის ნათესის სივრცე მომავალ წელს გადააჭარბებს 1914 წლის ნათესების სივრცეს (1914 წელს დათესილი იყო 11.900 დესეტინა).

ბამბის საწმენდი ქარხნები ქუთაისში, ბორჩალოში და ყარაიაზში დაიწყებენ მოქმედებას 1 ნოემბრიდან

საქართველოს ბამბის კომიტეტი აგზავნის ადგილებზე თავის წარმომადგენლებს ბამბის ხარისხების გამოსარკვევად. დახარისხებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა გლეხებთან მჭიდრო კავშირის დამყარებისათვის. თუ გატარებული იქნა მკაცრი სტანდარტიზაცია, ე. ი. მიღებული იქნა მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ბამბა, ეს ხელსაყრელი არ იქნება გლეხობისათვის; მეორეს მხრივ სუსტი სტანდარტიზაციის გატარების დროს ზარალი მოუდის სახელმწიფოს. ამიტომ მომავალი სტანდარტიზაციის მიზანია ორივე მხარის დაკმაყოფილება.

გარდა ამისა საქართველოს ბამბის კომიტეტი აწარმოებს ბამბის თესლის შერჩევას ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ბრძოლა საქონლის ჭირთან

მიმდინარე შემოდგომაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში თავი იჩინა საქონლის ჭირმა. ჭირი შემოტანილ იქნა ამიერ-კავკასიაში, განსაკუთრებით აზერბეიჯანში სპარსეთიდან, სადაც ჭირის შეჩერება ვეტერინარული პერსონალის უყოლობის გამო შეუძლებელი ხდება. ამჟამად ჭირი საგრძნობლად არის მოდებული აზერბეიჯანსა და სომხეთში, სადაც იგი მუსრს ავლებს შინაურ პირუტყვს. აქა-იქ ჭირი გავრცელდა საქართველოს კუთხეებშიაც.

ბორჩალოს მაზრა

ბორჩალოს გერმანელთა ახალშენ ლიუქსემბურგში სექტემბრის პირველ რიცხვებში ჭირით ავად გახდა 40 სული მსხვილფეხა საქონელი. გლეხობამ დასახმარებლად მიმართა [illegible], რომელნიც ვერ ასწრებენ საქონლის აცრას. საძოვრებიდან ჯოგის დაბრუნების შემდეგ ჭირი გავრცელდა მთელს მაზრაში, სადაც არ მოიპოვება ვეტერინართა საკმაო რიცხვი.

კახეთი.

საქონლის ჭირმა თავი იჩინა აგრეთვე კახეთში. სოფელ მხალგორაში (სიღნაღის მაზრა) გლეხების უმრავლესობას ჭირით დაუავადმყოფდათ ხარ-კამეჩი და ძროხები. ადგილობრივმა აგრონომიულმა პუნქტმა მოასწრო 1000 სული მსხვილფეხა პირუტყვის აცრა.

ჭირი ძალიან გავრცელებულია ალაზნის გაღმა მხარეს მდებარე სოფლებში, თუმცა დადგმულია კარანტინები, მაგრამ საქონლის ჭირი გაჩნდა ველისციხის რაიონში, სადაც შენიშნულია რამდენიმე მსხვილფეხა საქონლის სიკვდილი.

ქართლი

საქონლის ჭირი ესტუმრა აგრეთვე ქართლსა და სამხრეთ ოსეთს ორთევის რაიონში, განსაკუთრებით სოფელ ღვარიაში სექტემბრის პირველ რიცხვებში ჭირმა მუსრი გაავლო მსხვილფეხა საქონელს. აქედან ჭირი გავრცელდა სხვა სოფლებშიაც.

აჭარისტანი

ჭირს ვერ გადაურჩა ვერც აჭარისტანი, სადაც სექტემბრის პირველ რიცხვებში ადგილი ქონდა საქონლის ჭირით დაავადმყოფებას. შედარებით სხვა კუთხეებთან, აჭარისტანში უკეთ აწარმოებს ეპიზოოტიასთან ბრძოლა. იმ თავითვე ჯოგის სავალ გზებზე დაწესებულ იქნა კარანტინები. ამავე დროს მაზრებში დაგზავნილ იქნენ ვეტერინარები სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ მიწათმოქმედების სავეტერინარო პუნქტების საშუალებით დააზღვია შემდეგი სოფლების შინაური პირუტყვი ორთა-ბათომის, ციხისძირის, აჭარისწყალის და სხვა სოფლებისა.

ვეტერინართა თათბირის მოწვევა.

ცუდათ არის ვეტერინარულ დახმარების საქმე მოწყობილი კახეთის სოფლებში და ქართლში. ვინაიდან ეპიზოოტია მთელ ამიერ-კავკასიაში ფართოთ გავრცელდა, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში მოიწვიოს სავეტერინარო სამმართველოების უფროსთა და გამოცდილ ვეტერინართა თათბირი, რომელიც გამოიმუშავებს რადიკალურ ზომებს საქონლის ჭირის აღმოსაკვეთად.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა მდგომარეობა გაუმჯობესებული იქნება

(საკავშირო საინჟენერო-ტეხნიკურ ძალთა საკავშირო ბიუროს თავმჯდომარე ამხ. გენკინთან)

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო საინჟენერო-ტეხნიკურ ძალთა ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, სამთომადნო ინჟინერთა ცენტრალურ ბიუროს თავმჯდომარე და სამთომადნო მუშათა კავშირის ცკკას წევრი ა. ს. გენკინი. მისი ჩამოსვლის მიზანია გაეცნოს ადგილობრივ საინჟენერო სექციების მოქმედებას და აგრეთვე მოამზადოს ნიადაგი საკავშირო სამთო-სამეცნიერო-ტეხნიკურ ყრილობისათვის, რომლის მოწვევა განზრახულია 1926 წელს მოსკოვში.

გენკინმა განაცხადა, რომ მას სურს გაეცნოს ქართველ ინჟენერების აზრს ამ ყრილობის შესახებ და აგრეთვე გამოარკვიოს საქართველოს ინჟენერების და ტეხნიკურ მუშაკების ეკონომიური მდგომარეობა.

გენკინის სიტყვით რ. კ. პ. ცკკას და საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს დადგენილების შემდეგ სპეციალისტების მდგომარეობა ახლო მომავალში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხთან დაკავშირებით წამოყენებულია საკითხი ინჟენერების კვალიფიკაციის საკითხი. ამ მიზნით მოწყობილი იქნება გასამეორებელი კურსები ინჟენერებისა და ტეხნიკოსებისათვის. გარდა ამისა ინჟენერები მივლინებული იქნებიან საზღვარგარეთ ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევების გასაცნობათ. ინჟენერ-სპეციალისტების კვალიფიკაციის აწევას ხელს შეუწყობს აგრეთვე მომავალი სამთო-სამეცნიერო-ტეხნიკური ყრილობა, ასეთი ყრილობა საბჭოთა კავშირში ჯერ არ ყოფილა მოწვეული. ყრილობაზე იმუშავებს მთელი რიგი სექციები, სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით.

შემდეგ გენკინი შეეხო სამთო მრეწველობაში ხელფასის საკითხს და აღნიშნა, რომ ამჟამად ხელფასი სამთომადნო მრეწველობაში აღწევს ომის წინა დროის ხელფასის 67 პროცენტს. მძიმე ინდუსტრიის განვითარების გამო მიმდინარე სამეურნეო წელს ხელფასი გადიდებული იქნება ყველაზე უფრო ჩამორჩენილ დარგებში.

გენკინი აღნიშნავს აგრეთვე, რომ სპეციალისტების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების და აგრეთვე ადგილობრივ მთელ რიგ სამრეწველო დაწესებულებათა გახსნის გამო, ინჟენერები სიამოვნებით მიდიან ცენტრიდან ადგილებზე და ამგვარად უმუშევარ ინჟენერების რაცხვი თანდათან კლებულობს.

საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს დადგენილების ცხოვრებაში გატარების შემდეგ უმუშევრობა ახლო მომავალში სრულიად მოისპობა. მრეწველობის ახალ დარგების განვითარების შემდეგ დროებით, საინჟენერო-ტეხნიკურ ძალთა ნაკლებობასაც კი ექნება ადგილი.

გენკინს განზრახული აქვს ჭიათურაში გამგზავრება კონცესიის რაიონში ინჟენერების მდგომარეობის გასაცნობად. გარდა ამისა მას განზრახული აქვს ზანგეზურის სპილენძის მადნების და ბაქოს ნავთის სამრეწველოების დათვალიერება.

რიონზე ნაოსნობის მოსაწყობად

საქართველოს ავიოქიმი შეუდგა ახალი ტიპის (ჰიდრო-გლისსერის) ნავების აგებას (მერინოვ ხიჩინაშვილის კონსტრუქციის მიხედვით) რიონზე ნაოსნობის მოსაწყობათ.

პირველათ აგებული იქნება სამგზავრო ნავი, რომელიც იმუშავებს მდინარე რიონზე და მტკვარზე და თუ ნავი გამოდგა აღნიშნულ მდინარეებზე ნაოსნობის მოსაწყობად, შემდეგ აგებული იქნება როგორც სამგზავრო, ისე ტვირთსაზიდი ნავები.

აღნიშნული ტიპის ნავები გამოგონილია მხოლოდ დაბალ მდინარეებზე სანაოსნოთ, სადაც წყალს სწრაფი მიმდინარეობა აქვს, როგორც მაგალითად მტკვარს, რიონს და სხვ.

ჰიდრო-გლისსერის აგება იაფი ჯდება. მაგალითად განზრახულ ნავის აგება წინასწარ გამოანგარიშებით დაჯდება 450 მან.

ბ.

ქრონიკა

როდის ჩამოვა ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია

— საქართველოს პროფსაბჭომ მიიღო ცნობა, ხელმოწერილი საკავშირო ცენტ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხ. მელნიჩანსკის მიერ, რომ მოსკოვიდან ამიერ-კავკასიაში გამოემგზავრა ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციის ერთი ჯგუფი. თუ როდის ჩამოვა დელეგაცია თბილისში, ჯერ არ არის მიღებული ცნობა.

ჰარიმანის კონცესია

— თბილისში მიღებული ცნობების თანახმად, საკონცესიონერო საზოგადოების „საქართველოს შავი-ქვა" მთავარი ინჟენერი მოქ. ლობასისი და სამი ამერიკელი ინჟენერი ჩამოდიან თბილისში ამ კვირაში.

ამ დროისათვის მოელიან თბილისში აგრეთვე მოქალაქე რასკოვს, ჰარიმანის შავი-ქვის კონცესიონერის რწმუნებულს.

სახელგამში

— 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის შესრულების გამო ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა აპირებს გამოსცეს სერია წიგნებისა, რომელნიც გააშუქებენ 1905 წლის ამბებს, როგორც პოლიტიკურ, ისე მხატვრულ და ლიტერატურულ მხრივ.

სახელმწიფო გამომცემლობა სთხოვს ყველა ავტორებს და პირებს, რომელთაც აქვთ მასალები დაბეჭდილი და ხელნაწერი ამ საკითხის შესახებ, გადასცენ სახელმწიფო გამომცემლობას. წერილები პოლიტიკური ხასიათისა—ჭრ. ტოხველიშვილს, ლიტერატურული და მხატვრული მასალები—ტიციან ტაბიძეს.

თბილისის აღმასკომში

— წყალსადენის გაყვანა. წყალსადენის სამმართველომ შეიმუშავა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით იმ ქუჩებზე, სადაც არსებობს წყალსადენის მთავარი მილები, სახლის პატრონები ვალდებულნი არიან გაიყვანონ სახლებში წყალსადენი.

— მუშათა სახლების აგება. აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებამ მოიწვია ხუროთმოძღვარი მუშათა 2 სახლის პროექტის შესამუშავებლად. სახლები აგებული იქნება პლეხანოვის პროსპექტზე.

— მგზავრთა გადაყვანა. სექტემბერში ტრამვაიმ გადაიყვანა 8,010,020 მგზავრი 1103,800 მეტი აგვისტოსთან შედარებით.

— წყალსაზომები. წელს ქალაქში დადგმული იქნა 1000 ახალი წყალსაზომი.

— ქალ-სამეურნეოების გამგეთა გადასამზადებელ კურსებზე, ამჟამად ირიცხება 50 კაცი. კურსებს ინახავს თბ. აღმასკომი.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში

— გოგირდის გადაგზავნა. 1924—25 წელში მიწათმოქ. კომისარიატმა მაზრებში დააგზავნა 100 ათასი ფუთი გოგირდი ფილოქსერასთან საბრძოლველად.

— საცდელი სადგური. დამთავრდა კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურის გაფართოება-შეკეთება.

— შრატის დამზადება. ტაბახმელის საშრატე სადგური 1925—26 წ. დაამზადებს 20 ათას ლიტრა შრატს, რაც საკმაო 200 ათასი სული საქონლის ასაცრელად.

— მეცხვარეობა. მიწათმოქ. კომისარიატის ცნობით ამჟამად მთელ საქართველოში ითვლება ერთ მილიონზე მეტი სული ცხვარი.

სოც. უზრ. სახ. კომისარიატში

— გლეხკომების და სოციალურ უზრუნველყოფის საქმის გამოსაკვლევად. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დღეს გორის მაზრაში გაგზავნა ინსტრუქტორი იმის გამოსარკვევად, თუ როგორ არის იქ დაყენებული სოციალურ უზრუნველყოფის და გლეხკომებში მუშაობის საქმე.

— სოციალურ უზრუნველყოფის ინსპექტორის თანამდებობაზე დასანიშნავად სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ბორჩალოს მაზრაში აღმასკომის განკარგულებაში გაგზავნა ამხ. მეტრე იბრაგიმოვი.

თბ. დამზღვევ სალაროში

— დასაზღვევი ანარიცხები. სექტემბრის განმავლობაში დამზღვევ სალაროს შემოუვიდა დასაზღვევი პროცენტების სახით 312,303 მანეთი.

მუშათა ცხოვრება

თვითონაც პატიოსანი უნდა იყოს

(ჩვენი მუშების ყოფა-ცხოვრებიდან)

— ბიჭო, სვიმონ, გუშინ სად გადაჰკარი იმდენი, რომ ბლარაგრის გაგება გქონდა; ამოდენა „გასართობებით" ცხლა და რომ ამის შემდეგ კიდევ მუშა დაითვრეს დიდი სირცხვილია?

— ჯერ გაიგე რაშია საქმე და შემდეგ თუ გასამტყუნარი ვარ, გამამტყუნე კიდეც. მიუგო მედიდურათ სვიმონმა.

— აბა სთქვი, თუ რაში იყო საქმე? მიმართა სტეფანემ.

— საქმე, ჩემო კარგო, შემდეგშია: სამშაბათს სახლში ჩემს არყოფნის დროს ჩემ ცოლს ბავშვი მოეწათლა ღვდლით. მე ეს მეზობლებისაგან გავიგე და ამაზედ მოგვივიდა უსიამოვნება, რომელიც ჩხუბათ გადაიქცა. ასე შემარცხვინა და თავი მომჭრა ჩემმა ცოლმა. ამის შემდეგ, [illegible], აღარ გამიკვირდება, თუ მე იმ დღეს გაჯავრებული დავითვერი.

სტეფანემ ერთი ამოიოხრა, მიუბრუნდა სვიმონს და უთხრა—შენ გიხრწნია შენ ცოლთან იმიტომ, რომ ძველ წესებს მისდევს, რომელიც მუშის ოჯახის ახალ-ყოფა-ცხოვრებას ეწინააღმდეგება. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ამავე დროს შენც ხომ მიხვეულ ხდები ძველ ზნე-ჩვეულების შინ დატრობით და ამას კი, ამხანაგო, შენ ვერ აგრძნევ. არა, ჩემო სვიმონ, თუ სახლში ცოლისაგან მოითხოვ ძველი წესების უარისყოფას, თვითონ შენც ზურგი უნდა უჩვენო ძველ მაზარალებელ და საზიზღ ზნე-ჩვეულებას—ლოთობას. ვისაც მეტი ესმის, მეტიც მოეთხოვება. ხომ გაგიგონია ბრძენის სიტყვები: ქვეყნის გამსწორებელმა ადამიანმა ჯერ თავისი თავი უნდა გაასწოროსო.—თვითონაც პატიოსანი უნდა იყო, ჩემო სვიმონ! —სხვებზე კი მერე ვილაპარაკოთ.

სთქვა სტეფანემ და გაუდგა გზას.

მუშკორი ნიკო მკვრელი.

უგუნური მუშა თავის თავის მტერია

რამდენიმე დღის წინეთ რკ. გზის მთ. სახელ. მწყობ საამქროს მუშა ალექსანდრე ხუციშვილმა გამოიწერა რკ. გზ. მუშის საწყობიდან მუშის მისაღები ხორათი, მაგრამ ხან შინ კი არ გამოიტანა, არამედ ბაზარზე გაყიდა, რადგან ფული სჭირდებოდა ერთაწმინდობის (გორის მაზრა) დღეობაში წასასვლელად და ზურნაზე საქეიფოდ, რაც მან კიდეც სისრულეში მოიყვანა და თავის ოჯახი დასტოვა უპუროდ. ის თავის ჯამაგირსაც ასე უწესრიგოდ ფლანგავს და არაფერს არგებს თავის ოჯახს და არც თავის თავს.

რა საჭიროა ასეთი მუშა [illegible] ადგილს, როცა პატიოსანი მუშები ათასობით გვყავს უმუშევარნი.

მუშა ივანე.

აგვიკლეს ავარებმა

ამ ბოლო ხანებში როგორც ქუჩებში, ისე მუშათა კლუბებში ხშირად შეხვდებით ჩხუბს, აყალ-მაყალს და უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინებას. მუშა-მოსამსახურეს არა აქვს საშუალება თავისუფლად ამოისუნთქოს კლუბშიც, ვინაიდან, როდესაც ის შედის კლუბში დარწმუნებულია, რომ აუცილებლად მას ვიღაც ავარები გალანძღავენ ან და ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებენ.

ასეთი მაგალითები, სამწუხაროდ, მრავალი არის და ჩვენი კლუბების ადმინისტრაცია ენერგიულ ზომებს ვერ ხმარობს მათ წინააღმდეგ. აი მაგალითიც: ა. წ. 10 ოქტომბერს, საღამოს 10—11 საათზე საბჭოთა და სავაჭრო მუშათა კლუბში შემოიჭრა „შაიკის" მთელი ჯგუფი დაახლოვებით 30 კაცი ახალგაზრდა. ეს შაიკა შეიარაღებული იყო დანებით და რევოლვერებით. შაიკლებმა ასტეხეს ერთმანეთში აყალმაყალი და შეიჭრნენ კლუბის კანტორაში. უნდოდათ კლუბის გამგე ამხ. ტუტუნჯიანის მოკვლა. ღამის 2 საათი იყო; დაუძახეთ მილიციონერს, მაგრამ ისიც ვერაფერს ვერ გახდა, შაიკა აპირებდა მილიციონერის განიარაღებასაც და ბოლოს ავარები თავისუფლად გაუდგნენ გზას.

კითხვა ისმება—სანამდის უნდა ითარეშონ დაუსჯელად ამ ავარებმა? მილიციამ ასეთ შემთხვევებში აუცილებლად უნდა მიმართოს [illegible] და ერთხელ და სამუდამოთ აღკვეთოს ასეთი ამბები.

მუშკორი ა. დ. მათიაშვილი.

შეშის გატანა ძვირად გვიჯდება

ა. წ. 5 ოქტომბერს რკ. გზის შეშის საწყობმა დაიწყო მუშების და მოსამსახურეებისათვის შეშის გაცემა წინასწარ გამოწერილ შეშის მისაღებ ქვითრებით. საწყობს მოაწყდა აურაცხელი ხალხი, რითაც ისარგებლეს მეფურგუნეებმა და შეშის გადატანას მუშებს მამასისხლად უფასებდნენ.

საჭიროა ეს საკითხი მოგვარდეს, თორემ მეფურგუნეებისთვის დაწესებულ ტვირთის ზიდვის ნიხრი ჰაერზე გამოკიდებული დარჩება.

მუშა ფე—ძე.

ჩვენ უბნით

დ. ლილოში არის ორთქლის სახერხი ქარხანა (80 ცხ. ძალის). ეს ქარხანა პირველად გადაცემული იყო მოიჯარადრეებზე, შემდეგ სამაზრო აღმასკომმა დაიბრუნა ეს მოიჯარადრეებისაგან და თვითონ მოჰკიდა მას ხელი და დაუნიშნა გამგე. ქარხანამ დაიწყო მუშაობა. ქარხანამ ამ დროს მოგვცა მხოლოდ დეფიციტი. შემდეგ აღმასკომმა ეს კვლავ გადასცა მოიჯარადრეებს. მოიჯარადრეებმა ვერ შესძლეს მუშების დაკმაყოფილება, რის გამო ეს ქარხანა სამ-აღმასკომმა ისევ დაიბრუნა და ქარხნის მოძრაობა შეაჩერა. ქარხნის დაკეტვამ კი რადგან მის საწარმოებზე ბევრი მოთხოვნილება იყო უკმაყოფილება გამოიწვია ჩვენ გლეხობაში. საჭიროა, კვლავ ამოძრავდეს ეს ქარხანა და გადაეცეს ადგ. თემის აღმასკომს.

ამარ—ლიძე.

მოარჯულეთ გამხეცებული ქმარი

ბრიგადირის ქუჩაზე ([illegible] უბანი) ცხოვრობს მოქ. სავლე ქორიძე, რომელიც მსახურობს რკ. გზის მოძრაობის დარგში მეისრედ.—მას ყავს ცოლი და ორი შვილი, ცოლი ყოვლად პატიოსანი ადამიანია. მიუხედავად ამისა, ის მაინც სცემს საწყალს ადამიანს იმ მიზნით, რომ ამ ცემა-ტყეპით როგორმე დააავადმყოფოს და ამით მოუსპოს საწყალ ადამიანს სიცოცხლე.

საჭიროა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

მუშა ლამტკურელი.

გამოუგზავნილი წერილებიდან

— საჭიროა ყურადღება მიექცეს. გაზეთის საშუალებით ბევრჯერ იყო გამოქვეყნებული წერილი გორის მაზრის პოლიტგანის უფროსის მოქ. ხოზერიძის საქციელის შესახებ, რის შედეგიც იყო მისი ადგილიდან მოხსნა, მაგრამ რაღაცა გამოურკვეველ მიზეზების გამო, ის ისევ იქნა აღდგენილი თავის თანამდებობაზე.

მოქ. ხოზერიძე ძველებურად განაგრძობს თავის თავხედურ საქციელს თანამშრომლების მიმართ და ადგილიდან კი დათხოვნით ემუქრება. მთავარ პოლიტგანს ევალება მოაშოროს განათლების დარგს ასეთი გაუწონასწორებელი მოქალაქე.

უხილავი მარგიელი.

— აგვაშორეთ აფერისტი ხელოსანი. წ/წ. აპრილში მიცემული ქონდა შეკვეთა (სურათის გადიდება) ვინმე მიშკორენიკოვს (პლეხანოვის პრ. № 82) შეკვეთა მას აქამდის არ შეუსრულებია. საქმე მილიციამდე მივიდა, სადაც გამოირკვა, რომ მოქ. მიშკორენიკოვს ბევრი ჰქონია ასეთი შეკვეთებზე ფული მიღებული და საქმე კი შეუსრულებელი.

საჭიროა ასეთ „ხელოსნებს" პასუხი მოეთხოვოს.

მუშკორი ლარი.

— მიაქციეთ ყურადღება. ლენინის უბანში, რუსთაველის და ხუდადოვის ქ. ქ. შესართავში საჭიროა მუშკოოპის [illegible] განყოფილების გახსნა, რათა იქაური მუშა-მოსამსახურენი იხსნან კერძო ექიმების კლანჭებიდან.

მუშკორი ფრილი.

— ხაზინათა მუშაკების პროფკავშირის კლუბი. ეს კლუბი მშვენივრათ არის მოწყობილი ყოველ მხრივ, მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლის გამგე თავისი მუყაითი შრომისათვის მადლობის ღირსია. ამ კლუბს აქვს ერთი ნაკლი, ბუფეტის მოსამსახურენი უხეშათ და გულცივათ ეპყრობიან როგორც ხალხს ისე თავიანთ საქმეს.

მუშკორი მ—ჯელი.

სოფელი

1902 წელში დაბადებულ წითელარმიელების შეხვედრა

8 ოქტომბერს ქალაქ ცაგერის დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები, სხვა მოქალაქეებთან ერთად შეხვდენ უკან დაბრუნებულ წითელარმიელებს, რომლებმაც ამ ზაფხულზე იმსახურეს ჯარში, და ვადის გათავების შემდეგ დაბრუნდენ უკან თავიანთ ოჯახებში. შეხვედრა მოხდა მდ. ცხენისწყალის პირად. ის იყო გამოვიდენ გამოღმა ჩვენი არმიელები და ჩამწკრივდენ მწყობრში, რომ მუსიკამ დაუკრა მარში. ცოტა ხნით არმიელები შეჩერდენ ჰალაზე; ადგილობრივი ხელისუფლების სახელით მას მიესალმა ამხ. თეოფანე გორგასლიძე. ამის შემდეგ არმიელებმა გაიარეს ცაგერის ქუჩები სიმღერით და მოგროვდენ დანიშნულ ბინაზე. მათ საპატივცემლოდ სამაზრო აღმასკომმა გამართა ვახშამი. ვახშმის შემდეგ, ადგილობრივ თეატრში შესდგა საზეიმო სხდომა. თეატრი სავსე იყო დამსწრე საზოგადოებით. აქვე იყვნენ ახლადწვეულნი, 1903 წ. დაბადებულნი, რომლებიც ამ დღეებში მიაშურებენ წითელ ყაზარმებს. გლეხობამ შეიგნო ეხლანდელი ყაზარმის მნიშვნელობა. თვითეულმა წითელარმიელმა იცის, თუ რატომ მიდის ის წითელ არმიაში. წითელარმიიდან რომ ბრუნდებიან შეგნებული მოქალაქენი, ამას ხომ მტკიცება აღარ უნდა. წითელარმიელები კმაყოფილი არიან წითელ ყაზარმაში მიღებული გამოცდილებით და ფიცსა სდებენ, სოფლად ყოფნის დროს გაუზიარონ გლეხობას თავიანთი გამოცდილება.

გარამი.

მადლობის გამოცხადება

აბასთუმნის 1-ლ სანატორიუმში მყოფ მუშა-გლეხებისაგან განუსაზღვრელი მადლობა ჩვენ მთავრობას. იქ, სადაც წინათ თავად-აზნაურობა და კაპიტალისტები ზაფხულობით მიდიოდენ და ქეიფსა და ფუფუნებაში ატარებდენ დროს, იმ ადგილებზე დღეს გაჩაღებულია მუშების და გლეხების სანატორიუმი, იქ დღეს ხელებდაკოჟრილი გლეხები და მუშები, დიდი ხნის შრომისგან დაქანცულნი, ისვენებენ და დაკარგულ ჯანმრთელობას იდგენენ.

ეს არის პირველი ცდა გლეხთა სანატორიუმის, რომელმაც თავისი რეჟიმით, სმა-ჭამით და შესაფერი მოვლა-ექიმობით ბევრი მუშა-გლეხი იხსნა სიკვდილისაგან. მომავალში, სახელმწიფოს ეკონომიურ გამტკიცებასთან ერთად მთავრობა უფრო ფართოდ გაშლის დახმარებას.

ამასთანავე უღრმესი მადლობა საექიმო პერსონალს და უმთავრესად სანატორიუმის გამგეს ამხ. ვლადიმერ ნემსაძეს, რომელმაც თავისი დაუღალავი მუშაობით დაიპყრო პროვინციიდან ჩამოსულ გლეხების გული და ყოველდღიურ რჩევა-დარიგებით დააყენა ისინი კეთილ გზაზე.

დიდი მადლობა ჩვენს მუშურ-გლეხურ მთავრობას.

აბასთუმნის პირველ სანატორიუმის გლეხები.

(ხელს აწერს 55 კაცი).

წერილებიდან

თერჯოლის თემი
(შორაპნის მაზრა)

[illegible], 4 ოქტომბერს შესდგა თერჯოლის თემის მცხოვრებთა კრება. კრების საგანი იყო თემის სკოლების შეკეთება და თემგლეხკომის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ მოხსენების მოსმენა. უნდა ითქვას, რომ თერჯოლის თემის მცხოვრებნი დიდათ დაინტერესებულნი არიან სწავლა-აღზრდის საქმით.

კრებამ ერთხმად მოითხოვა საჭიროთ სკოლების შენობების შეკეთება მთელ თემში; საქმის მოსაგვარებლად არჩეულ იქნა ასისთავზე ერთი კაცი, სულ 17 კაცი. თემის გლეხკომის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად იცნო და მადლობა გამოუცხადა პრეზიდიუმს „უფასო მუშაობისათვის.

ვალე-ძე.

ქ. სამტრედია

წარმოდგენა. ქ. სამტრედიის [illegible] უბანში არის ლენინის სახელობის კლუბი, რომელსაც ყავს დრამატიული დასი. 6 ოქტომბერს დასის მიერ წარმოდგენილ იქნა „პროლეტარი ქალი" და „[illegible]". წარმოდგენა კარგათ ჩატარდა. მსახიობებს ეტყობოდათ მომზადება. ხალხი კმაყოფილი დარჩა.

ი. მაჭარაძე.

გამოჩინებულის თემი
(ბაღდადი)

ფულის გაფლანგვა. ამ რამოდენიმე ხნის წინათ გამოჩინებულის ფოსტის უფროსს ბეს. კვირკველიას გაუკეთეს „რევიზია. აღმოჩნდა, რომ კვირკველიას გაუფლანგავს 1400 მან. და გარდა ამისა დაუმტკიცდა ყალბი საბუთებით ფულის გზავნა. კვირკველია და მისი თანაშემწე ორივე გამოტყდენ დანაშაულში. ორივე სასტიკათ უნდა დაისაჯონ.

კამო.

ქვ. ლანჩხუთი
(გურია)

გახსენით წიგნის მაღაზია. კოგა ხანია რაც ლანჩხუთში გაუქმდა განათლების განყოფილების წიგნის მაღაზია. მაღაზია კარგათ მუშაობდა. მოწაფეები შეღავათიან ფასებში იძენდენ სასწავლო ნივთებს. რაღაც მიზეზების გამო წელს მაღაზია დაკეტილია. კერძო ვაჭრები სარგებლობენ ამით და ტყავს აძრობენ მოწაფეებს. ოზურგეთის მაზრის განათლების განყოფილებამ მაღაზია ხელახლა უნდა გახსნას და ამით ხელი შეუწყოს მოსწავლე-ახალგაზრდობას განაგრძოს სწავლა.

ბლაბლი.

ლეჩხუმი

საჭიროა სახერხი ქარხანა. ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან ხე-ტყის სახერხი ქარხნის უქონლობით. ერთი ხის გახერხვას ორი მუშა მთელი დღე უნდება. ეს მაზრა ხე-ტყით მდიდარია; სახერხი ქარხანა მცხოვრებლებსაც დიდ შეღავათს მისცემდა და მთავრობასაც მოგებას მისცემდა. სამაზრო აღმასკომმა უნდა ითავოს ლეჩხუმში ხე-ტყის ქარხნის აგება. ამ საქმეში მას ცენტრიც დაეხმარება.

ლეჩხუმელი მუშა.

სოფლის ქრონიკა

— ალბულაღში. ამჟამათ მუშაობა სწარმოებს წყალსადენის გამოსაყვანათ.

— გზის შეკეთება. სწარმოებს წალკის გზის საფუძვლიანი შეკეთება.

— წელს ქუთაისის მაზრაში დაარსდა ინვალიდთა 4 არტელი, რომელთა საერთო ბრუნვა უდრის 11,400 მან.

— რაჭის აღმასკომმა სოფ. ლაილიშის გლეხებს გადასცა ცემენტი ადგილობრივ წყალსადენის გამოსაყვანათ.

— გორის მაზრაში დაიწყო გლეხკომების საქმიანობის გამოკვლევა.

— ბამბის საწმენდი ფაბრიკა. 15 ნოემბრიდან ქუთაისში მუშაობას დაიწყებს ბამბის საწმენდი ფაბრიკა.

ჩვენი ფოსტა

პარიზი ამხ. დ. ლ—ძეს. თქვენი წერილი მივიღეთ. დაინტერესებულ პირს, რომლის მისამართს გვწერდით, გადაეცა (პირადათ) რაც საჭირო იყო.

განაგრძეთ ძველებურად.

პროფკავშირებში

განათლების მუშაკთა კავშირის კლუბის საქმიანობა

განათლების მუშაკთა კლუბი გახსნა 4 ივნისს. მისი მოწყობა-გამშვენიერებაში განათლების მუშაკებმა მიიღო უშუალო მონაწილეობა, მიიღო როგორც თავის ფიზიკური შრომით, აგრეთვე იდეურათაც.

საანგარიშო დროის განმავლობაში გ. მ. კლუბში სწარმოებდა შემდეგი ხასიათის კულტურული მუშაობა: წაკითხული იქნა სხვადასხვა თემებზე 10 ლექცია; კლუბთან არსებულ ქართულ-რუსულ დრამწრემ დადგა სულ 25 წარმოდგენა (პიესების შინაარსი უმთავრესად ეხებოდა პოლიტ-საგიტაციო და ახალ ყოფა-ცხოვრების საკითხებს. დაიდგა კონცერტები—14, საბავშვო საღამოები—5, წარმოდგენა უკრაინელების—5, მოეწყო სიმფონიური კონცერტი—3, სიმებიანი ორკესტრი—4, კინოსურათს უჩვენებდით ორჯერ კვირაში—სულ 27; გაიმართა რამოდენიმე საქველმოქმედო საღამო შეფობის ქვეშ მყოფ სოფლების სასარგებლოდ ბაღში ზაფხულის განმავლობაში უკრავდა სასულე ორკესტრი.

განათ. მუშ. კლუბთან დაარსდა სამკითხველო, სადაც მოგვეპოვებოდა ჟურნალ-გაზეთები და პოლიტ-ლიტერატურა. მკითხველთა რიცხვი საშუალოთ უდრიდა დღეში—30 კაც.

დაარსდა ფიზკულტურის წრე. ამ წრეში ვარჯიშობა სწარმოებდა ორჯერ კვირაში; ვარჯიშობაში მონაწილეობას ღებულობდა განათლების 45 მუშაკი.

ექსკურსიები

საექსკურსიო საქმესაც სათანადო ყურადღება ჰქონდა მიქცეული: სამეცნიერო ექსკურსიები, როგორც შორეული, ისე მახლობელი, ჩატარებული იქნა წინასწარ გამომუშავებული გეგმით. აღსანიშნავია—ექსკურსია ხაშმში, ქიათურაში, ცხინვალში და მოსკოვში. თითოეულ ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 30 კაცმა.

სხვა ადგილებიდან ჩამოსულ ექსკურსანტებს კავშირი უწევდა სათანადო დახმარებას: აძლევდა მათ ხელმძღვანელებს და შეძლებისდაგვარად მატერიალურ დახმარებასაც.

ჩვენი კლუბით ზაფხულის თვეების განმავლობაში ისარგებლა 25,555 კაცმა. მათ შორის განათ. მუშაკთა კავშირის წევრები იყო—20,023, სხვა კავშირის წევრები—3,022, წითელარმიელები—1,500, მათ შორის ქალები—15,256, მამაკაცები—10,299.

ჩვენმა კლუბმა დიდი სამსახური გაუწია აგრეთვე განსაკუთრებით განათლების იმ მუშაკთ, რომელთაც არ ჰქონდათ საშუალება წასულიყვნენ აგარაკებზე და სოფლებში დასასვენებლად და დარჩნენ თბილისში. მათ საშუალება მიეცათ ლამაზად მორთულ საზაფხულო კლუბში გონივრულ გართობასთან ერთად თავიანთი ინტელექტუალური მოთხოვნილებებიც დაეკმაყოფილებინათ.

ნ. ქეიშვილი.

კულტურული მუშაობა მოჯამაგირეთა შორის

უმთავრეს კულტურულ მუშაობას, რომელსაც ეწევა მიწა-ტყის კავშირი მოჯამაგირეთა შორის, შეადგენს მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, აღრიცხვაზე აყვანილ მოჯამაგირეთაგან მხოლოდ—32,3 პროცენტი აღმოჩნდა წერა-კითხვის მცოდნე, დანარჩენი კი უცოდინარი. მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის კავშირი შეუთანხმდა პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს, რათა „ჩეკუმს"-ში მიღების დროს უპირატესობა მიენიჭებინათ მოჯამაგირეთათვის. ამგვარად წერა-კითხვა შეისწავლა კიდევ 811 მოჯამაგირემ. ზოგ ადგილებში თვით კავშირმა დაარსა სკოლები (რიცხვით—12), რომლებიც გაიარა 200 მოჯამაგირემ. ასე რომ წერა-კითხვა შეისწავლა სულ 1011 კაცმა.

ამას გარდა მოჯამაგირეთა შორის სწარმოებს პროფესიონალურ-პოლიტიკური განათლებითი მუშაობა: მოწყობილია 23 პროფწრე და 3 პოლიტწრე, სადაც სისტემატიურად იკითხება ლექციები შესაფერ თემებზე.

პროვინციაში სულ არსებობს 50 ქოხ-სამკითხველო, რომელთა საშუალებით ვრცელდება გლეხურ მასაში 600-დე გაზეთი, 50-დე პერიოდული ჟურნალი და 5.000 ცალი სხვადასხვაგვარი ლიტერატურა, ნაციონალურ ენებზე.

ადგილობრივად გამოდის 10-დე კედლის გაზეთი, სადაც მოჯამაგირეები აშუქებენ თავიანთ საჭირბოროტო საკითხებს.

კავშირი სცდილობს მოჯამაგირეთა ჩაბმას საზოგადოებრივ საქმიანობაში მათი სათანადო ორგანოებში არჩევის საშუალებით. მაგ.—პროფესიონალურ ორგანოებში გაყვანილია 262, თემის საბჭოში 76, გლეხკომებში 40 და კოოპ. ორგანიზაციებში 36 მოჯამაგირე.

სასოფლო-სამეურნეო განათლება.

ზემოხსენებულ მუშაობასთან ერთად კავშირი მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობისათვის კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადებას. ამისათვის მან წელს გახსნა ერთი სასოფლო-სამეურნეო სკოლა (საქარხნო საფაბრიკო სკოლის ტიპის), სადაც კავშირის სრულ კმაყოფაზე იზრდება 18 მოჯამაგირე და ახალგაზრდა მუშა. ასეთივე სკოლა არსებობს წინანდალში და იქ მაჩაბლის სარჯზე იზრდება 5 მოჯამაგირე.

ინსტრუქტორთა მომზადება.

ამ უკანასკნელად იმავე მიწა-ტყის კავშირის ინიციატივით თბილისის გლეხთა სახლთან დაარსდა კურსები მოჯამაგირეთა შორის მუშაობისათვის ინსტრუქტორთა მოსამზადებლად. ამ კურსებს ისმენს 20 მოჯამაგირე, რომლებიც სცხოვრობენ იქვე, სახლში.

პროფმუშ ქრონიკა

პროფმუშაობის ქრონიკა

მედსანშრომის კავშირში

— წყალტუბოს მედიკურ დარგში მყოფ მუშაკთა კვირაუქმე დღეების დასვენების მიცემის საკითხის მოგვარება მედსანშრომის კავშირის ცენტრ. გამ. პრეზიდიუმმა მიანდო კავშირის სატ. საქ. განყოფილებას.

— ფოთის მედმუშაკთა შესახებ. მედსანშრომის კავშირის ცენტრ. გამგეობამ წინადადება მისცა ფოთის რაიაღმასკომს მიიღოს ზომები რათა მედმუშაკები შრომის ხელფასის დაკმაყოფილდნენ. მართალ გათანასწორებული იქნეს ადგილობრივი აღმასკომის სხვა დარგის მომუშავეებთან. (ფოთის აღმასკომმა მედმუშაკებს მინიმუმად დაუწესა 10 მან. ხოლო სხვა თანამშრომლებს კი 12 მან. აძლევს).

რკ. გზის პროფკავშირებში

— სპეცტანსაცმელები. სამტრედიის საუბნო პროფკავშირს განზრახვა აქვს მოახდინოს დეკემბერში იმის გამორკვევა, თუ რამდენად არიან მუშები დაკმაყოფილებულნი სპეცტანსაცმელით.

— თათბირი. სამტრედიის საუბნო პროფკავშირია დაავალა მოიწვიოს გაერთიანებული საწარმოო თათბირი ადმინისტრაციასთან ერთად.

სხვადასხვა

— [illegible] კომიტეტმა გადასდო 300 მან. სოფ. ქულაშში (ქუთ. მაზრა) სახალხო სახლის ასაგებ ფონდის გასადიდებლად.

— შრომის ლიგის თბილისის კომიტეტში. შაბათს, ა/წ. 17 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე შრომის ლიგის თბ. კ—ტის შენობაში (რუსთაველის პრ. 24) შესდგება მეფუტკრე-გამომგონებელის ამხ. ნ. კაზარიანის მოხსენება შემდეგ თემაზე: „ინკუბაცია მეფუტკრეობაში". შრომის ლიგა იწვევს მოხსენებაზე როგორც მეფუტკრეებს, ისე ბიოლოგებს და ფიზიკოსებს.

— ღია ბარათები. ფ.-ტ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატმა გადასწყვიტა, რომ წერილების გამგზავნს მეტი საშუალება მიეცეს ფართე შინაარსიან წერილის გამგზავნს, გააფართოვოს ღია ბარათების ზომა და სიგრძე.

— ხე-ტყის მრეწველობა. უმაღ. სამ. საბჭო შემგონში აგებს ხე-ტყის სახერხ ქარხანას, სადაც იმუშავებს 125 კაცი.

— მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის ცნობით, ამჟამად თბილისში ითვლება 98,321 საცხოვრებელი ოთახი.

— სხვადასხვა დაწესებულებათა, წარმოებებთან არსებულ სამხედრო-სამეცნიერო წრეებში და კუთხეებში ახლო ხანში დაიწყება სამხედრო ხასიათის ლექციების კითხვა.

— შრომის პირობების გამოკვლევა. შრ. სახ. კომისარიატში დამთავრდა აჭარაში ჩაისა და ქიმიურ ქარხნებში შრომის პირობების გამოკვლევა.

— სურამის სულით-ავადმყოფთა ახალშენთან ჯანსახკომმა მოაწყო სამეცნიერო კაბინეტი, იმ ავადმყოფების გამოსაკვლევად, რომლებიც ეწევიან ახალშენში მუშაობას.

— მასწავლებელთა კრება. დღეს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება თბილისის რუსულ, სომხურ და თათრულ შრომის სკოლების ოთხწლედების მასწავლებელთა საერთო კრება. განსახილველია პროგრამების საკითხი.

— მოხსენება. შაბათს, 17 ოქტ. საღამოს 7 ნახ. საათზე თბ. აღმასკომის დარბაზში მოხსენებას გააკეთებს საფრანგეთიდან ახლად დაბრუნებული ექიმი მ. ზაქრაძე: „ბრძოლა სოციალურ სნეულებათა წინააღმდეგ".

საბჭოთა სასამართლო

6.500 მანეთის გაფლანგვისათვის

ამიერკავკასიის? — ალმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. გლადკოვის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების—გავალოვის, ნადარაიას, პროკურორ ტატიშვილის მონაწილეობით გაარჩია საქმე სოლომონ ფირანისძე კორინთელის, რომელსაც ბრალად ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 116 მუხლის მე-2-ე ნაწილში გათვალისწინებული დანაშაული—სახაზინო ფულის გაფლანგვა.

კორინთელი საქართველოს პასუხისმგებელ შრომის არტელმა 1924 წელს დანიშნა მეარტელედ ზილაჯარა-აჯიკაბულის მე-34-ე საგადასახადო რაიონში. მის მოვალეობას შეადგენდა რკინისგზის მთავარ სალაროდან ფულის გამოტანა მუშა-მოსამსახურეებისათვის დასარიგებლათ. მას ფული მთლიანად გამოჰქონდა სალაროდან, მაგრამ დარიგების დროს ჯიბისკენ მიჰქონდა ფულის ნაწილი. გავიდა რამოდენიმე თვე და კორინთელს მოულოდნელად ეწვია რევიზორი ბაბახანიდი. კორინთელმა ისე მოხერხებულათ გადმოულაგა რევიზორს „ზალისი" საბუთები, რომ უკანასკნელმა მხოლოდ 7 მანეთის მეტი დანაკლისი ვერ აღმოაჩინა. დაბრუნდა რევიზორი თბილისში, მოძებნა მთავარ სალაროში სათანადო საბუთები, შეადარა კორინთელის მიერ წარმოდგენილი საბუთები და აღმოჩნდა, რომ კორინთელს დიდძალი ფული, მიღებული სალაროდან არ ჰქონდა გატარებული თავის წიგნებში. დაინიშნა სპეციალური რევიზია, რომელმაც გამოარკვია, რომ კორინთელს სისტემატიურად უფლანგავს მუშა-მოსამსახურეებისათვის დასარიგებელი ფული და მთელი თავისი „მოღვაწეობის" განმავლობაში მიუთვისებია არა 7 მანეთი, არამედ (ცოტა მეტი) 6,511 მან და 65 კაპ.

ყოველივე ამის გამომჟღავნების შემდეგ ს. კორინთელი მიიმალა, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ამჯობინა ისევ გამოცხადება და ცოდვების „მონანიება".

ბრალდებულ კორინთელს სასამართლომ მიუსაჯა ათი წლით გამასწორებელ სახლში მოთავსება, წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით. სასამართლომ დაადგინა აგრეთვე, რომ სამოქალაქო სარჩელი, წარმოდგენილი საქ. პას. შრომის არტელის მიერ 6,511 მან. 65 კაპ. რაოდენობით დამტკიცებული იქნეს და აღნიშნული თანხა გადაახდევინონ კორინთელს.

შემთხვევები

— ქურდი ქალიშვილი. 14 ოქტ. ტატიანა მეტრეველმა მილიციას განუცხადა, რომ რამდენიმე დღის წინათ, მისი სახლიდან წავიდა მისი 12 წლის ქალიშვილი, რომელსაც თან წაუღია ერთი ოქროს ბეჭედი და 16 მან. ფულადაც და დღემდის არსად ჩანს.

— დაჭრა. 14 ოქტ. საღამოს 8 საათზე, ფესინიანოვის მოედანზე მოქ. პავლე კარამანოვი უცნობმა პირმა სახიფათოდ დასჭრა კისერში.

— თვითმკვლელობა. 14 ოქტ. საღამოს 10 საათზე, ქრისთავის ქ. № 10, [illegible] რევოლვერით მოიკლა თავი.

— თავდასხმა. 3 ოქტ. ღამის 2 საათზე, თავს დაესხნენ 8 შეიარაღებული თიანეთში მწყემსთა კავშირის გამგეს არაკელ ხუციშვილს და წაართვეს ერთი ხანჯალი, შინელი და თოფი. მილიციის ზომებით შეპყრობილ იქნა 5 შეიარაღებული.

— 4 ოქტომბერს, დილის 6 საათზე თავს დაესხნენ [illegible] თიანეთის თემში მცხოვრებ [illegible] ხუთი შეიარაღებული [illegible] გარდაიცვალნენ თვითონ [illegible] და მისი შვილი ლუკა [illegible].

— მოკვლის განზრახვა. 12 ოქტ. ღამის 11 საათზე სოფ. სოღანლუღში ბიდარ ალიევს მიეპარნენ უცნობი პირები და აუტეხეს სროლა მოკვლის მიზნით, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს და მიიმალნენ.

— 11 ოქტ. ღამით სოფ. სოღანლუღში შეიპყრეს მესტიელი მამედ ოღლი, რომელსაც უნდოდა ისა სოლი ოღლის მოკვლა.

— შეიპყრეს. 14 ოქტ. შეიპყრეს თბილისის და მისი მაზრის საზოგადო სამმართველოს თანამშრომელი გ. რამაზ ბადალაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა სამუშაო ადგილებიდან მოპარული ნივთები და იარაღები.

— 14 ოქტ. მაღულიანის შესახ. № 6 გაქურდეს მოქ. ანდრო მდივნიშვილის ბინა.

— 14 ოქტ. შეიპყრეს 16 წლის ვასილ კუშიშვილი, რომელსაც ბრალდება [illegible] 2 შინელის მოპარვა.

— ცხენის მოპარვა. 14 ოქტ. ღამით გზაში დასვენების დროს სოფ. ვარანცოვკის მცხოვრ. მირონოვს მოპარეს ფურგუნიდან გამოშვებული ცხენი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 49

ა. კ. ს. ფ. ს. შინა ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1925 წელი, ოქტომბრის 15

„სასაქონლო-საფონდო ბირჟების სარაიონო რწმუნებულთა შესახებ"

თანახმად ა.კ.ს.ფ.ს.რ. შინავაჭრობის სახკომის ა/წ. ოქტომბრის დადგენილებისა № 57 ა.კ.ს.ფ.ს.რ. შინავაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს დამტკიცებული იქნეს შემდეგი დებულება „საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი სასაქონლო-საფონდო ბირჟის სარაიონო რწმუნებულთა შესახებ".

1. ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაციის გასაადვილებლად, თანახმად ა/კ. სახ. კომ. საბჭოს 1924 წლის სექტემბრის 19-ის დადგენილებისა, და აგრეთვე სასაქონლო-საფონდო ბირჟების სამოქმედო რაიონში სავაჭრო ტრიალის სავსებით გამოსარკვევად და გამოსააშკარავებლად, აგრეთვე საქონლის ბაზრის შესასწავლად,—სასაქონლო-საფონდო ბირჟებთან სარაიონო რწმუნებულთა თანამდებობა იქნეს დამტკიცებული.

2. რწმუნებულის სამყოფ ადგილს და აგრეთვე მისი მოქმედების რაიონს განსაზღვრავს ბირჟის კომიტეტი და ამტკიცებს ა. კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში.

3. სარაიონო რწმუნებულს დანიშნავს და დაამტკიცებს თავის თანამდებობაზე ბირჟის კომიტეტის პრეზიდიუმი.

4. რწმუნებული მიიღებს და აგროვებს სათანადო დაწესებულებათაგან, საწარმოთაგან და კერძო პირთაგან ცნობებს ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა შესახებ, თანახმად ა. კ. ს. ფ. ს. რ. შინა ვაჭ. სახკომის რწმუნებულის 1924 წ. ოქტომბრის 17-ის ინსტრუქციისა („კანონთა კრებული" 1924 წლის № 8 მუხ. 269). ხსენებული ცნობები ორ ცალად უნდა იქნეს წარმოდგენილი.

შენიშვნა 1. უკეთუ წარმოდგენილი ცნობები სრული არ არის რწმუნებულს, უფლება აქვს მოსთხოვოს სათანადო დაწესებულებას დამატებითი ცნობის წარმოდგენა, რაც გათვალისწინებულია ა/კ. შინა ვაჭ. სახკომის ზემოხსენებული ინსტრუქციის მე-13-ე მუხლით.

შენიშვნა 2. ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი არასრული ცნობა გატარებული უნდა იქნეს რეგისტრაციაში იმგვარად, რომ ყველა დამატებითი ცნობა მისი გამორკვევისთანავე დაუყოვნებლივ იქნეს წარმოდგენილი სარაიონო რწმუნებულისათვის.

5. ყველა წარმოდგენილ ცნობა რწმუნებულს შეაქვს ზონარგაყრილ და საბირჟო კომიტეტის ლუქის მეჰრდასმულ სარეგისტრაციო წიგნში, რომლის დათვალიერების უფლება გარდა სარეგისტრაციო ბიუროს წევრებისა, სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებისა და შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებისა არავის არა აქვს.

6. რწმუნებული პასუხს აგებს სარეგისტრაციო წიგნში შეტანილ და წარმოდგენილ ცნობების შეუფარდობის სისწორეში.

7. წარმოდგენილ ცნობის სარეგისტრაციო წიგნში შეტანისთანავე რწმუნებული ერთ ცალზე აღნიშნავს რა რეგისტრაციის ნომერს, უბრუნ-

ჩეს მა იმ ორგანიზაციას ან პირს, რომელმაც ეს ცნობები წარმოადგინა, მხოლოდ მეორე ცალს რეგისტრაციის თარიღის და ნომრის აღნიშვნით დაუყოვნებლივ უგზავნის სასაქონლო-საფონდო ბირჟის სარეგისტრაციო ბიუროს განსახილველად.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, უკეთუ რწმუნებული სცნობს, რომ ესა თუ ის გარიგება ვერ აკმაყოფილებს ეკონომიური-მიზანშეწონილ მოთხოვნილებას, იგი ვალდებულია გარიგების ცნობასთან ერთად, სარეგისტრაციო ბიუროს წარუდგინოს თავისი დასკვნაც ამ გარიგების შესახებ.

8. უკეთუ რწმუნებულის მიერ რეგისტრაციაში გატარებული ბირჟის გარეშე გარიგების სარეგისტრაციო ბიუროს მიერ განხილვის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს გარიგება სამეურნეო თვალსაზრისით მიზანშეუწონელია,—ამ შემთხვევაში სარეგისტრაციო ბიუროს დადგენილება ეცნობება რწმუნებულს, სარეგისტრაციო წიგნში მის აღსანიშნავად და იმ პირის ან დაწესებულების შესატყობინებლად, რომელმაც ეს გარიგება წარმოადგინა რეგისტრაციისათვის.

9. ის პირი ან დაწესებულება, რომელმაც რწმუნებულს წარუდგინა გარიგება რეგისტრაციისათვის, განთავისუფლდება ამ გარიგების ბირჟაზე შემდეგი რეგისტრაციისაგან.

10. ბირჟის გარეშე დადებული გარიგების შესახებ ცნობების მიღების დროს რწმუნებული აძლევინებს ცნობების წარმომდგენს დაწესებულ სარეგისტრაციო გამოსაღებს და აგრეთვე ადგილობრივ გადასახადსაც, უკეთუ მისი აკრეფა ბირჟას აქვს დაკისრებული.

11. გამოსაღებისაგან შეკრებილი მთელი თანხა რწმუნებულს შეაქვს საბირჟო კომიტეტის მიმდინარე ანგარიშზე ან უგზავნის ამ უკანასკნელს საბირჟო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ წესის მიხედვით და მის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

12. ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაციის გარდა სარაიონო რწმუნებულს აგრეთვე შემდეგი მოვალეობა ეკისრება:

ა) კოოპერაციის ან სხვა დაწესებულების, ორგანიზაციის თუ ცალკე პირის მიერ ინფორმაციული წესით წარმოდგენილი გარიგებათა ცნობების მიღება და ბირჟისათვის გადაგზავნა.

ბ) შეკრება და გადაგზავნა ბირჟისათვის ცნობებისა ადგილობრივი საბაზრო ფასების და მიწოდება-მოთხოვნის შესახებ იმ ფორმის მიხედვით და იმ ვადაში რაც საბირჟო კომიტეტის მიერ არის დაწესებული.

გ) ცნობის გაცემა საკოტიერო და საბაზრო ფასების შესახებ. სასაქონლო-საფონდო ბირჟის ცნობების მიხედვით და აგრეთვე ცნობების გაცემა ბირჟაზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების შესახებ.

დ) თავის რაიონში იმ პირთა და დაწესებულებათა გამორკვევა და აღრიცხვაზე აყვანა, რომელნიც სავაჭრო და დასამზადებელ ოპერაციებს აწარმოებენ და რომელნიც ვალდებულნი არიან ბირჟის გარეშე დადებული გარიგება რეგისტრაციაში გაატარონ და აგრეთვე საბირჟო კომიტეტში ცნობების წარდგენა ამ დაწესებულებათა მიერ გარიგების არათავისდროოზე და არასრული რეგისტრაციის შესახებ.

ე) საბირჟო კომიტეტის დავალებით ადგილობრივ ბაზრის, მისი კონიუნქტურის, სავაჭრო პრაქტიკის და სხ... გამოკვლევა.

13. სარაიონო რწმუნებული უშუალოდ ექვემდებარება საბირჟო კომიტეტს და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ა/კ. სახ. კომსაბჭოს 1924 წ. სექტემბრის 19-ის დადგენილებით, ა/კ. შინა-ვაჭ. სახკომის 1924 წ. ოქტომბრის 17 ის ინსტრუქციით, ამა დებულებით და აგრეთვე საბირჟო კომიტეტის დადგენილებათა და ინსტრუქციებით.

14. რწმუნებული ვალდებულია წარუდგინოს საბირჟო კომიტეტს პერიოდიული ანგარიში თავის მოქმედების შესახებ იმ ფორმის მიხედვით და იმ ვადაში, რაც საბირჟო კომიტეტის მიერ იქნება დაწესებული.

ა. კ. ს. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში: გამყრელიძე.

სამმართველოს მდივანი: ამეხაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქ. კ. პ. სააგიტ.-საპროპ. განყ. აცხადებს საყურადღებოდ, რომ შაბათს, 17 ოქტომბერს, დილის 9 საათზე შესდგება

კოლეგიის სხდომა.

წევრთა დასწრება სავალდებულოა

სააგიტ.-საპროპ. განყ. მდივანი: რეხვიაშვილი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს, 17 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე (პლეხ. ქ. № 96) მოწვეულია

რაიკომის გაფართოებული პლენუმი

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიონის უჯრედთა მდივნების თანადასწრებით.

დღის წესრიგი:

1. მდივნის ანგარიში რაიკომის მუშაობის შესახებ—მომხსენებელი ამხ. მელაძე.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.

სავალდებულოა რაიკომის ყველა წევრების და აგრეთვე უჯრედთა მდივნების გამოცხადება დაუგვიანებლად.

მდივანი: მელაძე.

პარასკევს, 16 ოქტომბერს მალაკანთა კოოპერატივის წითელ კუთხეში (19 თებერვლის ქუჩა), შესდგება ამხ. მედვედევის ლექცია: „რელიგიის როლი ლენინის თვალსაზრისით".

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განაწილების განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ორი დღის ვადაში მეორე მიმღებ კომისიაში ამხ. ბახიასთან.

1. შავლოხაშვილი სიმონ პავლეს ძე, 2. იაკობაშვილი ანტონ ლეონტის ძე და 3. სევერიანოვი სარქის ალექსანდრეს ძე.

თბილისის კომიტეტის აღრიცხველ-განმანაწილებელი განყოფილების გამგე: ვ. კვირიკაძე.

საქართველოს კომპ.-რტიის თბილისის კომიტეტი ხელმეორეთ წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ შაბათს, 17 ოქტომბერს, საღამოს ნახევარ 6 საათზე, სამდივნოში:

ლენინის რაიონი: 1. ჯიოევი გიორგი, 2. ჩლაიძე ნიკოლოზ, 3. ხუბოევი ალექსანდრე, 4. ბზეკალავა სევერიან, 5. სარდლიშვილი ზაქარია, 6. შენგელია თომებ

არსენალის რაიონი: 1. გვიწაძე ვლადიმერ, 2. კუბერია ლეონტი, 3. ნადირიშვილი ვიკენტი, 4. ლეონტი ნიკოლოზ.

ავლაბარ-ხარფუხის რაიონი: 1. მესხი ვასილ, 2. ცანავა ონისიმე, 3. მაილიანი სარქის.

ქალაქის რაიონი: 1. ლაგვილავა ტარასი, 2. ლომიძე ალექსი, 3. ბაზუნჯაგიანი, 4. მამალაძე ვლადიმერ, 5. გვარამია ვიქტორ, 6. თაყაიშვილი ალექსანდრე, 7. გუ-ნელაძე ნიკოლოზ, 8. კოპალეიშვილი ნიკოლოზ, 9. ფანცულაია ვასო, 10. ხობუა პიმენ, 11 მამულაიშვილი ევგრაფ, 12. ჩ.-ფიშვილი, 13. ბქუყმაძე, 14. ლელაშვილი, 15. ბახტაძე, 16. არობელიძე სევ. 17. ბ.-ტაძე სერგო, 18. აფციაური დავით, 19. ქაჯულია მიხეილ, 20. ტარაშვილი ივანე.

თბილისის კომიტეტის მდივანი: სვანიძე.

განცხადებები

დამწუხრებულნი მშობლები: დედა—საშა, მამა—დათიკო, დები: მარუსია და ნადია ანდრიაძეები, ბებია ელპიტე, ბაბუა სოლომონი, დეიდები: მარუსია, ლიდა, ელენე, მატრონი, აგრაფინა ლიზიკო და ოლია, ბიძები—გიორგი და ვარლამ გოგოშიძეები, ბიძია იოსები, ბიცოლა ნადია, ბიძაშვილები: ტატიანა, ჩიტო და ვალა ანდრიაძეები, დეიდა შუშანიკა და არჩილ ლომიძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ კვირას, 18 ამ თვეს, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

ევგენია (ფაციკო) ტოგონიძის

ორმოცი დღის აღსანიშნავად ვერის სასაფლაოზე, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, დღის 1 საათზე. 1—1 193

[illegible]

„მისი სიამაყე"

(ნაწ. 1-ლი), ნორმა ტოლმეჯის მონაწილეობით

„კოლეჟსკი რეგისტრატორ"

მთავარ როლში—მოსკვინი ||| სხლოს შეასრულებს იაშა ბროდსკი

სეზონის საუკეთესო სურათი

„საროსკიპოში აღზრდილი"

გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი რიიზნერის ხელმძღვანელობით

ნ. № 69—3—1

ღრმად დამწუხრებულნი: და—სოფიო მამაცაშვილისა, ბიძაშვილი მარიამ მგალობლიშვილისა, დისწული—ოლია ზაალიშვილისა, ბიძაშვილისშვილები—კატუშა და ბაბულია მგალობლიშვილები, ძმისწული—ქორიკა ლომიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 13 ოქტომბერს, ღამის 10 საათზე, მცირეხნის ავადმყოფობის შემდეგ კამოს სახელობის სპეც. სნეულებათა ინსტიტუტში (საავადმყოფოში) გარდაიცვალა

ანიჩკა კონსტანტინეს ასული

ლომიძე

დაკრძალვა—პარასკევს, 16 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება მოხდება საავადმყოფოდან; დასაფლავება—წმინდა ნინოს სასაფლაოზე. ვთხოვთ ნათესავთ და ნაცნობთ დაესწრონ

1—1 182

ღრმად დამწუხრებული მშობლები—გრიგოლ ნიკოლოზის ძე, ქეთევან და ოლღა ბიქტორის ასული შოთაძე, ბაბუა და ბებია—ბიქტორ ანდრიაძე და მელანია სტეფანეს ასული შოთაძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ კვირას, 18 ამა ოქტომბერს, ნიკოლოზის სასაფლაოზე (ვერა), დღის პირველ საათზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი დაუვიწყარის და საყვარლის—პირველების შვილის და მეორეთა შვილიშვილის

თინათინ (ტასიკო) უღენტის

სულის მოსახსენებლად, გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე

1—1 183

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა—ნინო გაბრიელის ასული, ცოლი—[illegible] ვლადიმერის ასული, ქალიშვილი—ლეილა და მამა გიორგი ნიკოლოზის ძე. გეხტმანები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, და ნაცნობთ რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი

ვლადიმერ (ვალოდია) გეხტმანი

გამოსვენება მოხდება 17 ოქტომბერს აბაშიძის ქუჩა (ყოფ. არწრუნის) № 27, დღის 2 საათზე, კუკიის სასაფლაოზე.

ოპერა

სახელმწიფო

[illegible]

დღეს, 16 ოქტომბერს

აიდა

შაბათს, 17 ოქტომბერს

ფაუსტი

კვირას, 18 ოქტომბერს

დუბროვსკი

ნ. 70—3—1 ბილეთები იყიდება.

თბილისის აღმასკომის
კომუნალური განყოფილება

აცხადებს, რომ ზაჰესის ელექტრო-დენზე გადასვლასთან დაკავშირებით ყველა ძველი დადგმულობები გადაკეთებულ უნდა იქნან ელექტრო-ტეხნიკურ ყრილობების ნორმების თანახმად. ძლიერი დენის ელექტრონის გაყვანილობებისა და დადგმულობების ნორმები და წესები იბეჭდება ქართულსა და რუსულ ენებზე და გამოვა გასასყიდათ ამ თვის დამლევს, რის შესახებ განცხადებული იქნება ცალკე.

ამის შემდეგ ყველა ახალი ელექტრონის დადგმულობები შეერთებული იქნებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შესრულებული იქნებიან ნორმების თანახმად.

კომუნალური განყ. გამგე ასრიევი.

რეოსის გამგე ბრეგაძე. 5-2 ნ. 60

ცეკავშირის გამგეობა

ამით აცხადებს

ცეკავშირის ყოფილ თანამშრომელთა და აგრეთვე სხვა დაწესებულებათა თანამშრომლების და პირთა საყურადღებოთ, რომელთაც ისარგებლეს ცეკავშირში კრედიტით—უკეთუ მათ ერთი კვირის განმავლობაში ამა რიცხვიდან არ დაუფარავთ თავიანთი დავალიანება ცეკავშირის სასარგებლოდ—მათ წინააღმდეგ სასამართლოებში აღიძრება ძიება და ამავე დროს რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდება მათი სახელი და გვარი. 2-2 ნ. 62

ცალკე საკავშირო ასეული
1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიისა,

ამით აცხადებს, რომ ასეულის ეზოში (დავიდოვის ქ., № 6),

კვირას, 18 ოქტომბერს, დილის 10 საათზე,

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ძველი ტანისამოსის, ფეხსაცმელების, ცხენების მოკაზმულობის, ყუთების, რკინეულობის და სხვა წვრილმან ნივთების გასასყიდათ.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მოქალაქეებს.

დრ. ასეულის მწე მეზელია. სახკომი ბიდლიძე.

72. 3—1.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის
საპატიმრო ადგილების განყოფილება

ამით აცხადებს, რომ კვირას, ამა ოქტომბრის 18-ს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სხვადასხვა ძველ რკინეულობაზე განმეორებითი ვაჭრობის მოსახდენლათ. მსურველთ შეუძლიათ გამოცხადდენ საპატიმრო ადგილების განყოფილებაში, ევანგულოვის ქუჩა, № 2, საიდანაც მიიღებენ ყოველგვარ ცნობებს. ნ. 67 3—2

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი.

მიღება ავადმყოფ. დილით 8 ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმი **ა. ს. შუბ-ირეთელი**

რუსთაველის პროსპექტი, № 10, (კონსერვატორიის [illegible]). [illegible] ავადმყოფობათა ([illegible]) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

ამიერ.-კავკ. კავშირის ოლქის

სამმართველოს

ესაჭიროება ტელეგრაფის და ტელეფონის

ბოძები

ფიჭვის, მუხის და ეკლის ხის, ამიერ-კავკასიის შემდეგ პუნქტებში: ლია, წალენჯიხა, ხაშური, ზუგდიდი, ხობი, ბანძა, ნაოლაოვევი, ახალსენაკი, აბაშა, იანეთი, საჯავახო, ზერძნისუქარო, ჩოხატაური, ნაგომარი, ახალციხე, ასპინძა, ბორჯომი, ბათუმი, ოზურგეთი, ლაილაში, ორბელი, ცაგერი, გორი, კოჯორი, მანგლისი, გეინიოკი, კოტეხი, თელავი, სართიჭალა, მარხაანი, მინის ქარხანა, (ვორონცოვკის ახოო), ელენივკა, გადერ-მუხაში, ბაიაზეთი, ქვემო კარაბულუგი, ქვემო ახტა, ერევანი, შუშა, ლისაგორსკი, [illegible]ლა, ცაგერი, ნახიჩევანი, ნიროშენი, ბასარგეჩარი, კარიაგინო, გეოკჩაი, შამხორი, ხილლი, ბელიასუვარი, პორტი-ილიჩი, ლენქორანი, საგირა, საატლი, კარადონლი, ქუთაისი, ნამოხვანი, მექვენა, ალპანა, ჭრებალო, სადმელი, წესი, სორი, ხონი, სამტრედია, საზანო, ჩხარი, რიონი, კობი, ელიაბი, აგდამი, აჯიკაბული, სალიანი, მცხეთა, თბილისი, მცხეთა-ყაზბეგი, ბაქო, ფოთი, ქიათურა, განჯა, ყამარლიუ, ზესტაფონი, ლიოქკენდორფი, ონი, სიღნაღი, ძირულა, აბასთუმანი, (ზუგდ.) ნოქალაქევი, ხორშა, აჭარის-წყალი, ნიგოითი, აცანა, აკეთი, ბეშტაშენი, წითელი ქალაქი (გორ. მ. ზ.), ახმეტა, წინანდალი, ანაგა, ხაშური, სულ 10560 ცალი. იმ დაწესებულებებს და პირებს, რომელთაც სურთ აიღონ ბოძების დამზადება,

შეუძლიათ პირობებს და კონდიციას ვრცლად გაეცნონ ახლო მდებარე ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში, თბილისში კი ა.-კ. კავშირის ოლქის სამმართველოს ტეხნიკურ განყოფილებაში, რუსთაველის პრ. № 43.

ბოძების დამზადება შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც

პირობების წესიერათ შესრულება ბოძების თავის დროზედ დამზადებას და დანიშნულ ადგილზე მიტანის შესახებ უნდა უზრუნველყოფილ იქნას გირაოთი 10 პროც. რაოდენობით მთელ იმ თანხიდან, რა ფასშიაც სურს მან აიღოს ბოძების დამზადება. ეს გირაო უნდა შემოტანილ იქნას საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე.

საჯარო ვაჭრობა

დანიშნულია 24 ოქტომბერს, 12 საათზე

ნ. 73 1—1

ექიმი **ზ. ა. თარუმოვი**

დაბრუნდა აგარაკიდან.

ტრიბუნალის ქუჩა № 13.

31 13—1

პროფესორი **გ. მ. მუხაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის (ყოფ. მიხეილის) პროსპ. № 58. 13—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1861, პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 427049, პირადობის მოწმობა № 8727, იპოლიტე სპირიდონის ძე დუგლაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 180

დაიკარგა ორდერი საბინაო სექციისა დათიკო ორჯონიკიძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 184

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1234, კავშირის წიგნაკი № 3665 და დამზღვევ კასის წიგნაკი თამარ ცქიტიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 185

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვასილ პეტრეს ძე სილაგაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 186

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი № 41100 იაკობ ჯანოს ძე შეწირულის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 187

დაიკარგა დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 519 რაფიელ ფარულავას სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 188

დაიკარგა დამზღვევი კასის წიგნაკი № 28583 სერგო თარხანოვის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 162

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 2041 პროკოფი ვიქტორის ძე არჩვაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 189

დაიკარგა პროფკავშირის წიგნაკი № 14040—266 ოლღა იოსების ასული გაბუნიას სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 191

დაიკარგა ალმშენებელთა კავშირის წიგნაკი № 102 და უმუშევრობის წიგნაკი № 2781 ორთილავას სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქვ. 193

ექიმი [illegible]

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება თვალების სნეულებათა. მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე

თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ., 47.

კბილის ექიმი

ი. გ. ზაქრაძე

განაახლა ავადმყოფთა მიღება დ. 10—2 ს. 4—6-მდე

ელისაბედის ქუჩა № 117.

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ

ასტუმრო „ნორდ"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—23

ექიმი **გ. გ. მეჰრაბიანცი**

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეციალური მკურნალობა მალარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურნალო კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—1

პროფესორი

გ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა ტფილისში

და კვლავ განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას დილის 9 საათიდან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. ყ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56.

2675 25—1

ამ.-კავკ. რკინისგზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1925 წ. 26—29 ოქტომბრამდე (ამ უკანასკნელი დღის ჩათვლით) დილის 10 საათიდან თბილისის სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქ. რკინისგზის ტერიტორიაზე)

აუქციონით გაიყიდება

ა.-კ. რკინის გზების სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავი ტვირთები და ბარგი.

გაუყიდავათ დარჩენილი ტვირთების გასასყიდად მეორე საჯარო ვაჭრობა დანიშნულია იქვე 30—31 ოქტომბრამდე (ამ უკანასკნელი დღის ჩათვლით). ქვემოდ მოყვანილია საბარგო ფურცლების ნომრები, ტვირთი, ადგილების რიცხვი და წონა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში სამსახურის საათებში, ხოლო ვაჭრობის დღეს ასეთის დაწყებამდე.

1. მოუკითხავი ტვირთები

№ 23411—კალოშები 7 ადგ. 192 კილ., № 224510—სალესი ქვა 175 ადგ. 7801 კილო, № 175513—რეზინის შლანგები 4 ადგ. 382 კილ., № 65428—მატყლი 1 ადგ. 17 კილ., № 6056—ქაღალდის კოლპაკები 3 ადგ. 68 კილ., № 3290—სტამბის შრიფტი 1 ადგ. 89 კილო, № 186649—1 ადგ. 37 კილ., № 9566 ბზიტი 5 ადგ. 167 კილ., № 9387—სკამების საჯდომები 1 ადგ. 355 კილო, № 23484—ფეხსაცმელების ლურსმანი 7 ადგილი 638 კილ., № 172359.—საკანც. ნივთები 2 ყუთი და კალათი მოწნული 1 ადგ. 171 კილ., № 48040—შუშა „ფონარ"—10 ყუთი 600 კილო, № 122830—2 ადგ. 111 კილო, № 143003—საკერავი მანქანა—1 ადგ. 40 კილო, ხის ფიჩხი—1 ადგ. 86 კილო, № 25008—სხვადასხვა სათამაშოები—6 ადგ. 437 კილო, № 53407—ცემენტი—2 ბ. 327 კილო, № 76728—გაზეთის ქაღალდი 4 ადგ. 884 კილო, № 5143—სიმინდი 19 ადგილი 622 კილო, № 17417—საშინაო ნივთები 1 ადგილი 33 კილო, № 9629—ბზიტი 8 ადგილი 282 კილო, № 298279 რკინ. ნაწარმ. 1 ადგ. 36 კილ., № 9714 სკამ. დასაჯდ. 4 ადგ. 120 კილ. № 26509—ქაღალდის კოლოფები 1 ადგ. 37 კილო, № 9791—ბურღული—10 ადგ. 806 კილ., № 280196—ყუთი ხის 1 ადგ. 53 კილ., № 280195—ყუთი ცალიერი 1 ადგ. 57 კილო, № 44286 სააგიტ. ლიტერ. 1 ადგ. 16 ნახ. კილ., № 98992—წიგნ. დაბეჭ. 1 ადგ. 52 კილ., № 99940—წიგნ. 1 ადგ. 11 კილო, № 60512—წიგნები დაბეჭდ. 1 ადგ. 24 კილ., № 104302 წიგნ. დაბეჭდ. 1 ადგ. 26 კილო, № 15270—სააგიტ. ლიტერ. 1 ადგ. 81 კილ., № 526 შაბიამანი და რკინის ხერხები—248 ადგილი, № 43043 მელანი და კრასკა სტამბის—24 ყუთი 1016 კილო, № 16788 წიგნი დაბეჭდ.—1 ადგილი 26 კილო, № 676 სხვადასხვა, № 86198—სააგიტ. ლიტერ. 1 ადგილი 13 კილო № 77400—სააგიტ. ლიტერ. 1 ადგ. 20 კილ., № 25842—ბროშიურები 1 ადგ. 2 ფუთი, № 73531. სააგიტ. ლიტერ. 1 ადგ. 78 კილ. № 260612 თამბაქო 1 ადგ. 57 კილ., № 75686—სვეტები ფიჭვის 54 ადგ. 29944 კილო, № 104925—ფიცრები ფიჭვის 1 ვაგ. 16.600 კილ., № 75687. სვეტები ფიჭვის 53 ადგ. 29567 კილო, № 13740 ტომრები ძველი დახეული 5 ადგ. 108 კილ., № 73408—წიგნები დაბეჭდ. 1 ადგ. 34 კილო, № 61046 ბლანკები დაბეჭდ. 1 ადგ. 54 კილო, № 13622—სააგიტ. ლიტერ. 1 ადგ. 30 კილ., № 25742 წიგნ. სახელმ. 2 ადგ. 117 კილ. № 5498—წიგნები დაბეჭდ. 2 ადგ. 34 კილო, № 40373 წიგნ. დაბეჭდ. 2 ადგ. 105 კილო, № 99921—სააგიტ. ლიტერატურა 1 ადგ. 110 კილო, № 5634—ხორცის საკრელი მანქანა 1 ადგ. 2 ფუთი, № 16768—წიგნი დაბეჭ. 1 ადგ. 26 კილო, № 44286—სააგიტ. ლიტერ. 1 ადგ. 16 ნახ. კილ. № 27603 წიგნ. დაბეჭდ. 1 ადგ. 45 კილო, № 249263 ქაღალდი ფერადი—1 ადგ. 25 კილო, № 159008 სკა 22 ადგ. 832 კილ № 49930—„ბურატი"—1 ადგ. 875 კილ., № 458—ათვიაქის სითხე 1 ბ. 1 ფ. 25 გირ., № 4723 „დიშლა" ხის ძე. 140 ადგ. 183 კილ. № 311022—ფხვნილი 6 ადგ. 228 კილო, № 311023—ფხვნილი 6 ადგ. 245 კილ., № 23079—სამკ. კავშ. ლერბი რკინის, 1 ყუთი 67 კილ., № 10709—სპილენძის ნაწარ. 2 ყუთი 85 კილ., № 96253—საპონი ხელის 33 ყუთი 2103 კილ., № 98269—ფაიფურის ჭურჭ. 4 ადგ. 705 კილ. № 98275—ფაიფურ. ჭურჭ. 6 ადგ. 1062 კილო, № 40730—რგოლები—1 ადგ. 97 კილ., № 111131—ქინაქინა—1 ადგ. 93 კილ., № 95320—ლიტერატური 1 ადგ. 55 კილ., № 83988—ბოთლები ცალ. ლუდის 12 ყ. 590 კილ., № 84834—სააგიტ. ლიტერ. 4 ადგ. 345 კილ., № 16028 ლიტერატურა 1 ადგ. 62 კილ., № 15560—ფოლადი 7 ადგ. 81 კილ., № 15569—გოგირდი 2 ადგ. 106 კილ., № 6371—სააგიტ. ლიტერ.—1 ყუთი 204 კილ., № 108278—წიგნ. დაბეჭდ. 1 ადგ. 333 კილო, № 8942 ყუთები ცალ. 8 ადგ. 90 კილ., № 23579—თამბაქოს ნაწარმ. 3 ყუთი 162 კილ., № 43567—ბოთლ. ცალიერი ლუდის—1 ადგ. 39 კილ. № 18266—შაბიამანი 18 ფუთ.

2. მოუკითხავი ბარგი.

№ 43056—კონსერვ. 13 ადგ. 678 კილ. № 274707—კალა 1 ადგ. 16 კილ № 25653 რკ. ჯაჭვი—23 ცალი 17 კილ., № 180173—ბარგი 1 ადგ. 15 კილ., № 159390 ბარგი 1 ადგ. 10 კილ., № 111180 ბარგი 2 ადგ. 45 კილ., № 250792 ბიდონი ცალ. 1 ადგ. 16 კილ., № 116294 კინო-ლენტა 1 ყუთი 27-ნახ. კილ., № 475691 ლიტერატ. 1 ადგ. 2 ფ. 10 გირ., № 103551 ბარგი 1 ადგ. 59 კილ. № 248316 არაყი 1 ადგილი 83 კილ., № 141401 ბარგი 1 ადგ. 25 კილ., № 141289 ბარგი 1 ადგ. 74 კილ, № 191443 ბარგი 2 ადგ. 59 კილ., № 471158 ბარგი 1 ადგ. 78 კილ. № 159465 ბარგი 1 ადგ. 10 კილ., № 206060 ბარგი 1 ადგ. 45 კილ., № 283109 ხის ჯოხები 1 ადგ. 12 კილ., № 111388 ბარგი 1 ადგ. 18 კილ.

3. უდოკუმენტო ტვირთები

№ 2493—ყუთ. ცალ. ხის 1 ადგ., 2 ნახ. კილ. № 145116 საშინ. ნივთ. 1 ადგ. 32 კილ., № 2524 შუშა 1 ადგ., № 573 ფარაჯა ძველი 1 ადგ. 8 ნახ. კილ., № 570 ბარგი 1 ადგ. 1 ნახ. კილ., № 571. ბარგი 1 ადგ. 8 კილ. № 572 ხურჯინი 1 ადგ. 6 კილ., № 5324 წიგნ. და ბეჭდ. 1 ადგ. 26 კილ, № 6325 ბარგი 3 ადგ. 102 კილ., № 604 პლაშჩი 1 ადგ. 1 კილოგ., № 603 ბარგი 1 ადგ. 1 ნახ. კილ., № 602 პლაშჩი 1 ადგ. 1 კილ.. № 601 სურათი 1 ადგ. 11 კილ., № 600 ბავშვის პალტო 1 ადგ. 1 კილ., № 599. ქოლგა 1 ადგ. 600 კილ., № 598 ბარგი 1 ადგ. 16 კილ., № 605 ბარგი 1 ადგ. 2 კილ., № 606 სიმინდის ფქვილი 1 ადგ. 16 კილ., № 135055 ლიტერ. 1 ადგ. 19 კილოგ., № 632 ფარაჯა ძველი 1 ადგილი 2 ნახევარი კილ., № 633 1 ადგ. 3 კილოგ., № 1308—ბარგი 1 ადგ. 4 ფ. 17 გირ. № 67077—იონჯის თესლი 7 ადგ. 608 კილ. № 133230—თამბაქო ფოთლოვ. 3 ადგ. 3 ფ. 25 გირ., № 461—წიგნები 1 ადგილი 28 კილ., № 36796—„სემიჩკა" 1 ადგ. 27 კილ, № 664 საქონელი 1 ადგ. 16 კილ., № 673—ბალიში 1 ადგ. 2 ნახ. კილ, № 672—პალტო—1 ადგ. 2 ნახ. კილ., № 671—სხვადასხვა 1 ადგ. 6 ნახ. კილ., № 670—ბარგი 1 ადგილი 4 კილ., № 669—პალტო—1 ადგ. 3 ნახ. კილ., № 668—პალტო—1 ადგ. 1 ნახ. კილ., № 665—ქალის „ჟაკეტი" 1 ადგ. 1 კილ., № 667—ჩანთა 1 ადგ. 7 კილ., № 663—ქოლგა მამაკაც. 1 ადგ., № 36993 ფინობი 1 ადგ. 11 კილ., № 36994—ქვაბი რკინის—2 ადგ. 410 კილ., № 36997—ხანჯალი—1 ადგ. 2 კილ., № 166684—მღოგვი 1 ადგ. 1 ადგ. 20 კილ., № 166718—სტიანა—2 ადგ. 16 კილ., № 58327—წიგნები და რვეულები ძველი.

ნ. 71. 1—1.

ტირაჟი—20.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს სამ. წულუკიძის ქუჩა № 4